პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- სას.-სამ. მუშების გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში ფართოვდება.
- პარიზის ბაზრობაზე გაიხსნა საბჭოთა პავილიონი.
- შეტაკება გაფიცულ ფეიქრებსა და პოლიციას შორის ბომბეიში.
- გლეხთა ორგანიზაციების დევნა მექსიკაში.
- პოლონეთში დაიწყო გლეხების მღელვარება.
- მასიური ჩხრეკა და დაპატიმრებანი ლიტვაში.
- ერიო არჩეულია ქ. ლიონის მერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, 21 მაისი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 114 (2459)

სოფლის სოციალისტური გარდაქმნის გზები

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების გადაჭრა გულისხმობს მუშათა კლასისა და გლეხობის დაკავშირების საწარმოო ფორმების განმტკიცებას. თუ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში, მძიმე ინდუსტრიის უაღრესი ჩამორჩენილობისა და მთელი რიგი სხვა პირობების გამო, ქალაქისა და სოფლის კავშირი უმთავრესად სავაჭრო ურთიერთობის ხაზით ვითარდებოდა,—ეს დღეს, როცა ჩვენ გაშლილ სოციალისტურ შეტევას ვაწარმოებთ, ოდნავადაც არ არის საკმარისი. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყოველგვარი შესაძლებლობა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოებისათვის.

გლეხობა სულ უფრო იგნებს, რომ ახლანდელ წვრილ დაქუცმაცებულ მეურნეობის და მისი პრიმიტიული ტექნიკის პირობებში იგი თავის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. ამით აიხსნება ბოლო დროს მისი ლტოლვა კოლექტივიზაციისაკენ. მსხვილი სოციალისტური მიწადმოქმედება აუცილებელი პირობაა როგორც თვით გლეხობის კეთილდღეობის ასამაღლებლად, ისე მრეწველობის უზრუნველსაყოფად ნედლეულით და მუშათა კლასისა—სურსათით.

ჩვენი მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ განვამტკიცოთ როგორც უკვე არსებული კოლმეურნეობანი, ისე გლეხთა ახალი მასები ჩავაბათ კოლმეურნეობრივ მოძრაობაში. გლეხობას არა სიტყვებით, არამედ ფაქტებით ნათლად უნდა დაუმტკიცოთ კოლმეურნეობათა მთელი უპირატესობა ინდივიდუალურზე. უეჭველია, რომ კოლმეურნეობებს თვალსაჩინო მიღწევები აქვთ მოსავლიანობის გადიდების, საქონლიანობის ზრდის, აგრიკულტურულ ღონისძიებათა გამოყენების და სხვა მხრივ, მაგრამ, ცხადია, ამით ოდნავადაც არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. საჭიროა ამ მიმართულებით შემდგომი ნაბიჯების გადადგმა. უნდა გავაძლიეროთ გეგმიანი ხელმძღვანელობა, მეტი დახმარება აღმოუჩინოთ კოლმეურნეობებს მანქანა-იარაღებით, კრედიტით, სასუქით, კარგი ჯიშის სათესლე მასალით, აგრონომიული ძალებით და სხვა. ამ გზით ჩვენ აღმოვფხვრით იმ დეფექტებს რომლებიც ჯერ კიდევ ბლომად ახლავს ჩვენ კოლმეურნეობებს, და გავხდით მათ სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მძლავრ იარაღად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ჯერ კიდევ სუსტათ მუშაობს გლეხურ მეურნეობათა საწარმოო პროცესების გასაერთიანებლად. ის დღემდე მეტ წილად კმაყოფილდება გასაღების ფუნქციებით. მან გადამჭრელი ნაბიჯები უნდა გადადგას სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების გაერთიანებისათვის კოოპერატიულ ნიადაგზე და ამ მიზნით უნდა გამოიყენოს თავისი სავაჭრო ოპერაციები.

სოფელთან საწარმოო დაკავშირების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს კონტრაქტაცია. კონტრაქტაციას გეგმიანობა შეაქვს სასოფლო მეურნეობაში და მის განვითარებას სახელმწიფოს მომწესრიგებელ ხელს უმორჩილებს. ის ერთად ერთი საშუალებაა სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდისა და მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის. ამავე დროს კონტრაქტაცია დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებას. მაგრამ ყოველივე ამას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ კონტრაქტაცია დაკავშირებული იქნება საჭირო აგრიკულტურულ ღონისძიებების განხორციელებისა და კოლექტივიზაციის ამოცანებთან.

სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის აწევის, მისი ტექნიკური რეკონსტრუქციის და წვრილ მეურნეობის მსხვილ მიწადმოქმედებაზე გადასვლის საქმეში საგრძნობი როლი უნდა შეასრულონ საბჭოთა მეურნეობებმა. გარდა იმისა, რომ ისინი მისაბაძი მაგალითი უნდა იყვნენ ახლანდელ მოსახლეობისათვის, უკანასკნელს მათ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ საწარმოო პროცესების გაუმჯობესების და განსაზოგადოების დარგში.

თავის თავად ცხადია, სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციის და მისი სოციალისტური გადაკეთების საფუძველს მძიმე ინდუსტრიის განვითარება წარმოადგენს, კერძოდ სოფლისათვის საჭირო მანქანების მშენებლობა. საკმაო რაოდენობის ტრაქტორების და სხვა მანქანა-იარაღების შეტანა სოფლად, მათი მომარაგება საჭირო მასალებით, შემკეთებელ სახელოსნოების ქსელის გაფართოვება, ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობის ტრაქტორიზაცია, რომელიც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საწარმოო დაკავშირების ერთ ერთ მთავარ ფორმას წარმოადგენს.—აი საითკენაა მიმართული ჩვენი საქმიანობა.

ზევით ჩვენ ვლაპარაკობდით გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციაზე და კოლექტიურ მეურნეობათათვის ყოველგვარი შეღავათების და დახმარების აღმოჩენაზე. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებისათვის დახმარებაზე უარს ვამბობდეთ. ჯერ ჯერობით მარტო კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს ვერ დავემყარებით და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ჯერ კიდევ საკმაო ხანს დაგვჭირდება მშრომელთა ინდივიდუალურ მეურნეობებზე ზრუნვა. მაგრამ ეს არ ეწინააღმდეგება კოლექტივიზაციაზე აღებულ კურსს, როგორც ზოგიერთ ჰგონია. საქმე ის არის, რომ ღონისძიებები ამ მეურნეობათა დასახმარებლად მჭიდროდაა დაკავშირებული მათ განსაზოგადოებასთან. ამ ღონისძიებათა ნიადაგზე, იქნება ეს მანქანების მიწოდება, კრედიტების გაცემა, სამელიორაციო მუშაობა, თუ სხვა რამ, ხდება კერძო მეურნეობათა ამა თუ იმ სახით კოოპერატიული შეკავშირება (სამანქანო ამხანაგობანი, მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობანი და სხვა), ამ გზით მათ შორის კოლექტივიზაციის იდეის გავრცელება და მათი თანდათანი გადასვლა კოლექტივიზაციისაკენ.

ბოლოს, სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მიზნით მუშათა კლასმა უნდა გააძლიეროს თავისი კავშირი გლეხობასთან. ამ მხრივ, სხვათა შორის, მუშათა ბრიგადების გაგზავნის პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, თესვის კამპანიის დროს ამ ბრიგადებმა საგრძნობ შედეგებს მიაღწიეს. საშეფო საზოგადოებებმა ამ მიმართულებით უნდა გაშალონ მუშაობა, რომელიც არ უნდა განისაზღვროს მხოლოდ კამპანიების ჩატარებით, არამედ მას უნდა მიეცეს გეგმაშეწონილი და სისტემატიური ხასიათი. მუშათა ბრიგადებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ გლეხობის დარაზმვას კოლექტივიზაციის საფუძველზე და ამ მხრივ მისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევას.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით გლეხობასთან საწარმოო დაკავშირების ყველა ფორმას და ყველა პრაქტიკულ ზომას მათ გასატარებლად. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყურადღების ცენტრი კავშირის საწარმოო ფორმებზე უნდა გადავიტანოთ. ამ მხრივ პარტიის მე-16 საკავშირო კონფერენციამ მოგვცა გარკვეული დირექტივები, რომელთა გადაუხრელად განხორციელებას უნდა მოვანდომოთ ჩვენი ძალღონე.

საბჭოების მე-5 საკავშირო ყრილობა

20 მაისს იხსნება საბჭოების მე-V საკავშირო ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის საკითხები: მრეწველობის განვითარების გეგმის, სოფლის მეურნეობის განვითარების და სოფლად კოოპერატიული მშენებლობის საკითხები. ეს სამი საკითხი მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ყველა ეს საკითხი მოწმობს ერთ რამეს—სოციალისტური მშენებლობის ფართოდ გაშლა-განვითარებას საბჭოთა ქვეყანაში. ამ საკითხებზე გასაკეთებელ მოხსენებათა შესავალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, იქნება საბჭოთა კავშირის მთავრობის მოხსენება მისი მოღვაწეობის შესახებ ამ ორი საანგარიშო წლის განმავლობაში.

ჩვენი კავშირის საბჭოების მე-IV ყრილობის დირექტივის თანახმად, მთავრობას უნდა მიეღო მთელი რიგი გეგმიანი ხასიათის ზომები ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, ე. ი. მთელი ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გარდასაქმნელად ახალ საფუძვლებზე, ახალ უფრო მაღალ ტექნიკურ საფუძვლებზე. როგორ განახორციელა ეს მთავრობამ? სოფლის მეურნეობამ საბჭოების მე-V ყრილობისათვის დაამთავრა თავისი აღდგენის პერიოდი. მრეწველობაში დაბანდებულია ახალი მილიარდები, რომლების მეოხებითაც იქმნება ვეებერთელა ფაბრიკები, ქარხნები და ელექტროსადგურები. ჩვენ უკვე თითონ ვამზადებთ რთულ სამრეწველო მანქანებსა და ტრაქტორებს და ვიყენებთ მათ სოფლის მეურნეობაში. მსხვილი მრეწველობა გაიზარდა, მოპოვებითი მრეწველობის ცალკე დარგებმა, 1927 წელთან შედარებით, თვალსაჩინოდ აიწიეს. ახალი კანონი მიწის შესახებ უზრუნველჰყოფს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლექტივიზაციის გზებს, იგი ფართო შესაძლებლობას იძლევა საადგილ-მამულო საზოგადოებათა პრაქტიკულ მუშაობაში სოფლის მოჯამაგირეთა ჩასაბმელად, ხელს უწყობს ღარიბი გლეხობის დარაზმვას და, დასასრულ, საშუალებას აძლევს საბჭოებსა და აღმასკომებს გადაიქცნენ სოფლის მეურნეობის ნამდვილ ხელმძღვანელებად. კანონი მოსავლიანობის გასადიდებლად ღონისძიებათა მიღების შესახებ პირველ რიგში კოლმეურნეობებს და შემდეგ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებსაც აძლევს მათი საწარმოო ძალების განვითარების საშუალებას.

ერთის სიტყვით, მთავრობის მოღვაწეობამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოამზადა აუცილებელი პირობები იმისათვის, რომ განხორციელდეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნა ახალ საფუძვლებზე, რომელიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით. თვით სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარმოადგენს თავისთავად დიდ მიღწევას და დიდ გამარჯვებას. სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა შედგენილია საუკეთესო პოლიტიკური მუშაკების და სპეციალისტების მიერ იგი წინა წლების გამოცდილებისა და მიღწევების საფუძველზე საშუალებას აძლევს პარტიას და მთავრობას ორგანიზაციული გავლენა მოახდინონ მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე, ალაგმონ კერძო სტიქია წარმოებასა და საქონლის ტრიალში და გააფართოონ სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორი. კერძოდ, მოხსენება სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად კოოპერატიული მშენებლობის განვითარების შესახებ, მთელი სიგრძე-სიგანით დასვამს ჩვენი გლეხის წინაშე საკითხს—სოფლის მეურნეობის განვითარების რომელი გზა უფრო შეეფერება ღარიბი და საშუალო გლეხის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ საბჭოების მე-V სრულიად საკავშირო ყრილობის წევრები, რომლის შემადგენლობაშიაც შედიან გლეხობის ძირითადი მასის წარმომადგენელნი, მტკიცედ და ნათლად შეისწავლიან საჭირო მასალებს და განაცხადებენ, რომ მხოლოდ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით, მხოლოდ გლეხური მეურნეობის ცალკე საწარმოო პროცესების კოოპერატიულ საფუძვლებზე გაერთიანებით, შესძლებენ ისინი საბოლოოდ და სამუდამოდ მოსპონ კულაკი, რომ მხოლოდ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია გაადიდებს სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებას და უფრო სავსებით უზრუნველჰყოფს მათ ინტერესებს.

ზემოთ ჩამოთვლილ მოხსენებებთან ერთად საბჭოების მე-V სრულიად საკავშირო ყრილობის დღის წესრიგში დასმულია სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენება. ეს საკითხი დასმულია სავსებით დროულად იმიტომ, რომ სოციალისტური მშენებლობისა და მშვიდობიანი შრომის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შრომა საიმედოდ იქნება დაცული მუშათა და გლეხთა გარეშე და შინაგანი მტრების თავდასხმისაგან. ხოლო მშვიდობიანი შრომის დამცველი არის ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია. საჭიროა ყურადღება მიექცეს მის ცხოვრებასა და ყოფას, განსაკუთრებით ეხლა, როდესაც ჩვენი მშენებლობის მიღწევები მოსვენებას არ აძლევენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს და წარმოადგენენ კულაკური ელემენტების შემოტევის მიზეზს სოფლად.

როგორც ვხედავთ, ჩვენი კავშირის საბჭოების მე-V ყრილობის დღის წესრიგი შეიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხების სწორად გადაჭრა ამავე დროს მოასწავებს ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის განუხრელ ზრდას, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საჭირო ტემპის უზრუნველყოფას და გამანადგურებელი ლახვარის ჩაცემას ძველი ბურჟუაზიის ნაშთებისათვის, ნეპმანებისათვის, კულაკებისათვის და ყველა მერყევ ელემენტებისათვის რომელნიც სცდილობენ გამოიყენონ დიადი სოციალისტური მშენებლობის დაბრკოლებანი და შეასუსტონ ამ მშენებლობის ტემპი.

საბჭოების მე-V ყრილობის გადაწყვეტილებანი საფუძვლად დაედებიან საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების ახალ ეტაპს, რომელიც მიიმართება სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი რეორგანიზაციის პირველი ნაბიჯებიდან ფართო და მასიურ სოციალისტურ მშენებლობისაკენ.

ა. ენუქიძე

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

რეპარაციების ექსპერტთა კონფერენციის შედეგები

გერმანიის გადასახადების განსაზღვრის საკითხში შეთანხმება არ არის მიღწეული

სნოუდენი ახასიათებს ბოლდუინს: „ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში მე არ შევხვედრივარ ამაზე უფრო უნიჭო პრემიერს“

სუნ-ძინ-ლინის განცხადება ჩინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

სარეპარაციო საკითხის გარშემო

საბოლოო მოხსენება კონფერენციის მუშაობის შესახებ. — შახტის შენიშვნები

პარიზი, 19 მაისი. კრედიტორ სახელმწიფოების ექსპერტები შეუდგნენ იმ საბოლოო მოხსენების განხილვას კონფერენციის მუშაობის შესახებ, რომელიც კონფერენციის დავალებით შეიმუშავა ინგლისის ექსპერტმა სტემპმა.

მოხსენება განსაზღვრავს საერთაშორისო ანგარიშების გამასწორებელი ბანკის წესდებასა და ფუნქციებს და სარეპარაციო გადასახადების საერთო გეგმას.

მოხსენების პროექტთან ერთად კრედიტორ სახელმწიფოების ექსპერტები შეუდგნენ იმ შენიშვნების განხილვას, რომლებიც გაუკეთა სტემპის პროექტს გერმანიის დელეგაციის მეთაურმა შახტმა. სტემპის მოხსენებაში არ არის გერმანიის ყოველწლიური გადასახადების სიდიდის განმსაზღვრელი ციფრები.

როგორც პრესის ცნობებიდან სჩანს, შახტის შენიშვნების შინაარსი ასეთია: შახტი ისევ აცხადებს, რომ გერმანიას არ შეუძლია გადაიხადოს 1.650.000.000 ოქროს მარკაზე მეტი წლიურად და არა უმეტეს 37 წლისა. მაგრამ იგი თანხმდება უზრუნველჰყოს 37 წლიური შეტანა საშუალოდ 2 მილიარდი და 50 მილიონი მარკის რაოდენობით და 21 წლის განმავლობაში იმ ვალების შემდგომში დაფარვით, რომლებიც მოკავშირეებს ერთმანეთისა მართებთ. მხოლოდ ამის პირობად შახტმა წამოაყენა: ყველა იმ საკონტროლო ორგანოს გაუქმება, რომლებიც დაარსდა დაუესის გეგმის საფუძველზე, გერმანიის გადასახადების უზრუნველსაყოფად დაწესებული საწინდრებისა და ეგრედ წოდებული „რეკოვერი აქტ“-ის გაუქმება, გერმანიისათვის საბაჟო და სხვა უპირატესობათა მინიჭება ექსპორტის განსავითარებლად, აგრეთვე ის, რომ, თუ გერმანიის გადამხდელ უნარიანობა თვალსაჩინოდ შემცირდა, გერმანიას მიეცეს უფლება მიმართოს ზებანკის საბჭოს მოთხოვნით სარეპარაციო შეთანხმების ცალკე პუნქტების გადასინჯვის შესახებ.

ფრანგული პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ მოკავშირე სახელმწიფოების ექსპერტებმა განხილული შენიშვნები მათი ეხლანდელი რედაქციით მიუღებლად სცნეს, მაგრამ შეთანხმებას მაინც არ სთვლიან შეუძლებლად (ადს).

ვინ მეთაურობს ინგლისის მთავრობას

სნოუდენი ბოლდუინის შესახებ

ლონდონი, 19 მაისი. ბოლდუინი გამოვიდა ფინანსიურ მოღვაწეთა მიტინგზე სიტიში. მან მკაცრად გააკრიტიკა მუშათა პარტიის საფინანსო პროგრამა და განაცხადა, რომ ეს პროგრამა მხოლოდ ქაოსს გამოიწვევს. ამასთან დაკავშირებით ინგლისის მუშათა პარტიის ერთ - ერთმა ბელადმა, ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა მაკდონალდის კაბინეტში — სნოუდენმა მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდ“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ბოლდუინის გამოსვლა წარმოადგენს იმ კაცის სიბრძნის კვინტესენციას, რომელმაც ვეღასოდეს ვერ გამოიჩინა ვერც ერთი პოლიტიკური ან ფინანსიური საკითხის გაგების უნარი: კონსერვატიული პარტიის მხდალ დახურულ კრებებზე ბოლდუინს შეუძლია გულდამშვიდებით წაიკითხოს მისთვის სხვების მიერ გამზადებული სიტყვები. მაგრამ თემთა პალატაში, სადაც ის პირისპირ სდგას თავის მოწინააღმდეგეებთან, იგი ყოველთვის გაურბის ბრძოლას და მთავრობის პოლიტიკის დაცვას ანდობს თავის ხელქვეით მინისტრებს.

ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობის დროს მე არ შევხვედრივარ ასე აშკარად უნიჭო პრემიერს“.

სნოუდენმა განაცხადა, რომ ამერიკაში ყოფნის დროს ბოლდუინი სასაცილოდ ჰყავდათ აგდებული ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენლებს, რადგან ისინი მალე მიხვდნენ მის განსაკუთრებულ უნიჭობას, ამიტომაც შესძლეს მათ დაედოთ ბოლდუინთან ამერიკისათვის მეტად ხელსაყრელი შეთანხმებები ვალების შესახებ. (ადს).

„საბჭ. კავშირი—ჩინეთის ერთად ერთი მეგობარია“

სუნ - ძინ - ლინის განცხადება

ხარბინი, 19 მაისი. გერმანიიდან ხარბინში მოვიდა სუნ - იატ - სენის ქვრივი სუნ-ძინ-ლინი, რომელიც ნანკინში მიემგზავრება სუნ - იატ-სენის ნეშთის საზეიმო გადასვენებაზე დასასწრებლად. სუნ - ძინ-ლინმა პრესის წარმომადგენლებს, სხვათა შორის, განუცხადა:

„ვიდრე გომინდანის პოლიტიკა სავსებით არ იქნება შეთანხმებული სუნ - იატ-სენის მოძღვრების პრინციპებთან, მანამ მე არ შემიძლია რაიმე მონაწილეობა მივიღო გომინდანის მუშაობაში. სუნ - იატ-სენის ძირითადი პრინციპები ასეთია: ბრძოლა იმპერიალიზმთან ჩინეთში, მჭიდრო თანამშრომლობა ჩინეთის ერთად - ერთ ნამდვილ რევოლიუციონურ მეგობართან — საბჭოთა კავშირთან, მუშურ - გლეხური პოლიტიკის განხორციელება.

მოსკოვში დავყავი 8 თვე და პირადათ დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი მეგობარია არა მარტო ჩინეთის, არამედ ყველა ჩაგრული ხალხის. საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობა საფუძველს მაძლევს — დიდი იმედით უყურო კაცობრიობის მომავალს“.

მანჯურიაში უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა სუნ - ძინ-ლინის განცხადებამ, რომ ის უარს ამბობს გომინდანის ბელადებთან თანამშრომლობაზე. განსაკუთრებით განცხადების იმ ნაწილმა, რომელშიაც ლაპარაკია ჩინეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობაზე.

ხარბინის ოფიციალურმა გაზეთმა „გუნ ბაო“-მ სუნ - ძინ-ლინის განცხადება არ გამოაქვეყნა. (ადს).

ბრძოლა ავღანისტანში

ემიგრანტი ბასმაჩები ამანულას წინააღმდეგ

ტერმეზი, 19 მაისი. ავღანისტანში მყოფი ემიგრანტი ბასმაჩები ილაშქრებენ ამანულას მომხრის გულიამ ნაბი-ხანის ჯარის წინააღმდეგ და თავს ესხმიან ავღანელთა ყიშლაღებს. ისინი მკაცრად უსწორდებიან ამანულას მომხრეებს. ზოგიერთ ყიშლაღში ბანდიტებმა გაჟლიტეს მთელი ახალგაზრდობა. ბანდიტების მძლავრობა იწვევს მოსახლეობის დიდ ლტოლვას იმ რაიონებისაკენ, სადაც დაბანაკებულია გულიამ ნაბი-ხანის გარნიზონები. (ადს).

ემორჩილებიან ამანულას ხელისუფლებას

ტაშკენტი, 19 მაისი. ტაშკურგანის სამხრეთით მდებარე მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების მოსახლეობამ გულიამ ნაბი-ხანს მოუგზავნა დელეგაციები და აცნობა, რომ სავსებით ემორჩილება ამანულას ხელისუფლებას. (ადს).

გლეხთა ორგანიზაციების დევნა მექსიკაში

პორტეს ხილი სცდილობს გლეხთა ორგანიზაციების განადგურებას

სასიკვდილო განაჩენი გლეხთა ლიდერებს

ნიუ-იორკი, 19 მაისი. მექსიკიდან იუწყებიან, რომ გლეხთა ნაციონალური პარტიის ხაზინადარის როდრიგესის წინააღმდეგ აღძრეს ძიება სისხლის სამართლის წესით. მას წაუყენეს ბრალდება, ვითომ მან ხელში ჩაიგდო მთავრობის იარაღი და აჯანყებისაკენ მოუწოდებს გლეხებს დიურანგის შტატში. როდრიგესს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. სამხედრო მინისტრმა კაიესმა (მექსიკის ყოფილმა პრეზიდენტმა) დაამტკიცა განაჩენი. კაიესმა აგრეთვე დაამტკიცა სასიკვდილო განაჩენი, რომელიც სასამართლომ გამოუტანა გლეხთა მემარცხენე ლიდერს გომესს.

გლეხთა ნაციონალურმა ლიგამ პროტესტი განუცხადა პრეზიდენტ პორტეს ხილს სასიკვდილო განაჩენების წინააღმდეგ. პორტეს ხილი სცდილობს გაანადგუროს გლეხთა ორგანიზაციები.

მექსიკის კომპარტია მოუწოდებს გლეხთა ორგანიზაციებს — წინააღმდეგობა გაუწიონ ამ გეგმებს. კომპარტია აღნიშნავს, რომ კაიესისა და პორტეს ხილის დაპირებების მიუხედავად, მემამულეები განაგრძობენ გლეხების უსაშინლეს ექსპლოატაციას და იკავებენ მუნიციპალიტეტებისა და თემების მიწებს.

საბჭ. პავილიონი პარიზის ბაზრობაზე

პარიზი, 19 მაისი. პარიზში გაიხსნა ნიმუშების ბაზრობა, რომელზედაც საბჭოთა კავშირმა წარადგინა საექსპორტო საქონლის, კერძოდ, ხე-ტყის, ბეწვეულის, ქიმიური მრეწველობის, საკვები პროდუქტების; ნავთის; ქვა-ნახშირის; საფეიქრო ნედლეულის და შინამრეწველობის პროდუქტების ნიმუშები. საბჭოთა პავილიონი დაათვალიერა საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა. (ადს).

გაფიცვების ტალღა

ინდოეთში

ახალი შეტაკებები ბომბეიში

ბერლინი, 19 მაისი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ბომბეელი კორესპონდენტის ცნობით, ბომბეიში მოხდა ახალი შეტაკებები. მუშები შეეცადნენ შესულიყვნენ ქარხნების ეზოში, რომ მექარხნეებისთვის აპრილის ხელფასი მოეთხოვათ. ამ ხელფასს დამქირავებელნი არ აძლევენ მუშებს იმისთვის, რომ აიძულონ ისინი განაახლონ მუშაობა.

ამან შეტაკება გამოიწვია. იმ რაიონს, სადაც გაფიცვაა გამოცხადებული, გარს შემოერტყა პოლიციელების დიდი რაზმი და ინგლისელთა ბატალიონი ტყვია-მფრქვევლებით. პოლიციამ ორჯერ ასტეხა სროლა. საგაფიცვო კომიტეტმა დეპეშით პროტესტი განაცხადა პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ. დეპეშაში ნათქვამია, რომ გაფიცულებმა დღემდე ბრწყინვალე დისციპლინა გამოიჩინეს, მაგრამ შეუძლებელია დამშვიდებულად ყოფნა მაშინ, როდესაც მექარხნეები პროვოკაციას მიმართავენო. რადგან მუშებს სამუშაო ქირას არ აძლევენ, ისინი სოფლებში წასვლასაც ვერ ახერხებენ (ადს).

ჩეხო-სლოვაკიაში

გაფიცულია 25.000 კაცი

პრაღა, 19 მაისი. კომპარტიის ორგანო „რუდე პრავო“-ს ცნობით, სლოვაკიაში სასოფლო-სამეურნეო მუშების გაფიცვა ფართოვდება. ამჟამად გაფიცულია 25 ათასი მუშა. ის პროფკავშირები, რომლებსაც სოციალ - დემოკრატები ხელმძღვანელობენ, ფაშისტურ და კლერიკალურ პროფკავშირებთან ერთად მოუწოდებენ მუშებს — შეწყვიტონ გაფიცვა (ადს).

ჩინეთში

მუკდენელი მტვირთავების გაფიცვა

ხარბინი, 19 მაისი. მუკდენის სადგურის ჩინელმა მტვირთავებმა გაფიცვა გამოაცხადეს. დატვირთვა - გადმოტვირთვის მიმდინარეობა სადგურზე დაირღვა (ადს).

ტერორი რუმინეთში

ბრალდება მუშურ - გლეხურ ბლოკის წინააღმდეგ

ვენა, 17 მაისი. „ბესარაბიის ფოსტის“ ცნობებით, ახალი ჩხრეკის დროს, რომელიც მოხდა უკვე მას შემდეგ, რაც დაბეჭდეს მუშურ-გლეხური ბლოკის სადგომი კიშინოვში, პოლიციამ თითქოს კონფისკაცია უყო მთელ არქივს და მთელ რიგ დოკუმენტებს, რომლებიც, როგორც პოლიცია აცხადებს, ამტკიცებენ, რომ მუშურ-გლეხურ ბლოკს მონაწილეობა მიუღია ტემეშვარის ამბებში. საბუთებს შორის თითქოს არის ბლოკის ერთ-ერთი უკანასკნელი სხდომის ოქმი. ამ სხდომამ თითქოს დაადგინა სასწრაფოდ გაეგზავნა დელეგაცია საბჭოთა კავშირში. ყველა დოკუმენტი და განსაკუთრებით ეს ოქმი, როგორ ეტყობა, საფუძვლად დაედება საბრალდებლო აქტს მუშურ-გლეხური ბლოკის წინააღმდეგ. (ადს)

შესწყვიტეს შიმშილობა

ვენა, 19 მაისი. რუმინეთის საპყრობილეების პოლიტიკურმა პატიმრებმა, რომლებმაც შიმშილობა გამოაცხადეს პროტესტის ნიშნად მათთვის ამნისტიის შეუფარდებლობის გამო, 10 მაისს შესწყვიტეს შიმშილობა.

ამავე დროს შიმშილობა შესწყვიტა დოფტანის და ჟილავის საპყრობილეებში დაპატიმრებულმა 63 კომუნისტმა, ვინაიდან საპყრობილეების ადმინისტრაციამ იკისრა ვალდებულება მომავალში აღარ წაართვას პოლიტიკურ პატიმრებს მათთვის მინიჭებული უფლებები. (ადს)

გლეხების მღელვარება პოლონეთში

ვარშავა, 19 მაისი. ლვოვის სავოევოდოს სოროკოვის ვოლოსტში ნიჩბებითა და ფიწლებით შეიარაღებული გლეხები თავს დაესხნენ ვოლოსტის შენობას და სიკვდილით დაემუქრნენ ვოლოსტის გამგეობის წევრებს. პოლიციამ სროლა აუტეხა გლეხებს და გაჰფანტა ისინი. გლეხების ერთი ნაწილი დააპატიმრეს.

მღელვარება გამოიწვია იმან, რომ უკრაინელი გლეხები უკმაყოფილონი არიან ვოლოსტის გამგეობის პოლონური ნაწილით. (ადს).

ვოლდემარასზე თავდასხმის გარშემო

მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება

კოვნო, 19 მაისი. როგორც გაზეთები იუწყებიან, ვოლდემარასზე თავდასხმასთან დაკავშირებით, გრძელდება მასიური ჩხრეკა, დაკითხვა და დაპატიმრება. უმთავრესად აპატიმრებენ ოპოზიციონური ორგანიზაციების მომხრე სტუდენტებს.

საპირველმაისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის კოვნოს კომენდანტმა დააჯარიმა 9 კაცი, თითო 3.000 ლატით ან ჯარიმის სამი თვის პატიმრობით შეცვლით, ოთხი კაცი — თითო 2.000 ლატით ან ორ-ორი თვის პატიმრობით, თოთხმეტი კაცი — ათას-ათასი ლატით ან თითო თვის პატიმრობით. (ადს).

პერუსა და ჩილის დავა

შეთანხმება მიღწეულია

ვაშინგტონი, 19 მაისი. პრეზიდენტმა ჰუვერმა განაცხადა, რომ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკების პერუსა და ჩილის შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ კონფლიქტის მოგვარების შესახებ, რომელიც ჩამოვარდა სასაზღვრო ოლქების ტაკნასა და არიკას გამო. ამ შეთანხმების თანახმად, არიკა რჩება ჩილის, ხოლო ტაკნა პერუს. ნავთსადგური არიკა წყნარ ოკეანის ნაპირზე ჩილის რჩება, იმ პირობით, რომ ჩილი ნებას აძლევს პერუს მოაწყოს ამ ნავთსადგურში გემსაშენები; ჩილი აქ პერუს თავისუფალ ზონასაც აძლევს. ჩილი აძლევს პერუს აგრეთვე 6 მილიონ დოლარს ანაზღაურების სახით.

ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ შეთანხმება წარმოადგენს პერუსა და ჩილის შორის უშუალოდ წარმოებული მოლაპარაკების შედეგს, მაგრამ უეჭველია, რომ ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დიდი გავლენა მოახდინა შეთანხმების ზოგიერთ მუხლზე. (ადს).

საიმონის განცხადება

ლონდონი, 19 მაისი. ლიბერალი საიმონი, ინდოეთის კონსტიტუციის გადამსინჯავი კომისიის თავმჯდომარე, საპარლამენტო არჩევნებში დასახელებულია კანდიდატად სიენვალის ოლქში. საიმონმა განაცხადა, რომ იგი საარჩევნო კამპანიის დროს არ შეეხება ინდოეთის საკითხებს. საიმონმა მხარი არ დაუჭირა საპყრობილედან ინდოელი კომუნისტის უსმანის განთავისუფლების მოთხოვნას. უსმანი კომპარტიამ კანდიდატად დაასახელა სპენვალის ოლქში (ადს).

ჩინეთში

ადგილობრივი მთავრობა სვატოუში

ლონდონი, 19 მაისი. რეაქციონური ორგანო „დეილი მეილ“-ი ჰონკონგიდან იუწყება, რომ სვატოუში (ნავთსადგური გუანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში) დაარსდა ადგილობრივი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელსაც მეთაურობს სიუ კინ-ტონი.

„აქ შთაბეჭდილება ისეთია, — სწერს ამ გაზეთის ჰონკონგელი კორესპონდენტი, — რომ მალე მთელ ჩინეთში დაიწყება მძლავრი მოძრაობა ჩან-კაი-შის წინააღმდეგ“ (ადს).

„მანჯურია დეილი ნიუს“-ი ჰკიცხავს ჩან-სუე-ლიან

ხარბინი, 19 მაისი. დაირენის ოფიციოზი „მანჯურია დეილი ნიუს“-ი ვრცელ წერილში ეხება აღმოსავლეთის სამი პროვინციის ხელისუფლების მოქმედებას იაპონიის მიმართ. გაზეთი სასტიკად ჰკიცხავს ჩან-სუე-ლიანს იმისათვის, რომ იგი გაურბის მოლაპარაკებას იაპონიასთან სარკინიგზო მშენებლობის შესახებ მანჯურიაში, აგრეთვე იმისათვის, რომ მან მუკდენში შემოიღო დამატებითი ადგილობრივი აქციზი იაპონურ საქონელზე. გაზეთი აცხადებს, რომ ამასთან დაკავშირებით მიღებული იქნება გადამჭრელი ზომები (ადს).

ანტი-იაპონური მოძრაობის გამო

ტოკიო, 19 მაისი. იაპონიის სავაჭრო პალატამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს მთავრობისაგან გადამჭრელი ზომების მიღებას ნანკინის მთავრობის მიმართ, რომელსაც არ სურს შესწყვიტოს ანტი-იაპონური მოძრაობა (ადს).

დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინ“-ი დაეშვა

პარიზი, 19 მაისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, „გრაფ ცეპელინ“-ის ხელმძღვანელმა ეკნერმა სთხოვა ავიაციის სამინისტროს — ეჩვენებინა დირიჟაბლისათვის დასაშვები ადგილი. ავიაციის სამინისტრომ წინადადება მისცა მას— დაშვებულიყო ტულონის მიდამოებში. ეკნერი დათანხმდა და დაეშვა.

ფორმალობის შესრულების შემდეგ მგზავრებს დაუყოვნებლივ მისცეს გერმანიაში გამგზავრების ნება (ადს).

ქ. ლიონის მერის არჩევნები

პარიზი, 19 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ქალაქ ლიონის მერის არჩევნების პირველ ტურში სოციალისტურმა დეპუტატმა ფევრიემ მიიღო 27 ხმა, ლიონის წინანდელმა მერმა რადიკალმა ერიომ—25 ხმა. სოციალისტებმა განაცხადეს, რომ მოხსნიან თავიანთ კანდიდატს და ხელმეორე კენჭის ყრის დროს წარადგენენ ცარიელ ბიულეტენებს, რათა აცილებულ იქნას განხეთქილება მემარცხენე ბლოკში. ხელმეორე კენჭის ყრის დროს სოციალისტებმა თავი შეიკავეს, ერიომ მიიღო 23 ხმა და არჩეულ იქნა ქ. ლიონის მერად“ (ადს).

ბასმაჩების მფარველნი

დიუშამბე, 20 მაისი. წითელი არმიის ნაწილების მიერ მაქსუმ ფაიზულას ბანდის განადგურების დროს შეპყრობილი ბანდიტები გადმოგვცემენ, რომ ბანდა შესდგა ქაბულში, სადაც მაქსუმმა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ინგლისელის თანდასწრებით მიიღო დიდძალი ფული, იარაღი და მოწყობილებაო. შეპყრობილი ბანდიტები ამბობენ აგრეთვე, რომ ხალაბადის გუბერნატორმა თავისი პირადი დამცველი რაზმიდან გამოჰყო საპატიო ყარაული, რომელმაც საბჭოთა საზღვრებამდე გამოაცილა ბანდიტები. (ადს).

სხვადასხვა

— **კონკურენციას უწევს ფორდს.** საავტომობილო კომპანია „ჯენერალ მოტორს“-მა შეიძინა სააქციო საზოგადოების „ფოკერ ერკრაფტ კორპორეიშენ“-ის საკონტროლო პაკეტი. ეს საზოგადოება ავიამშენებლობის უდიდესი წარმოებაა ფორდის საწარმოსთან ერთად. ამრიგად, „ჯენერალ მოტორს“-ი ავიაციაშიაც უწევს კონკურენციას ფორდს (ადს).

— **განაჩენი შერბაკოვის საქმის გამო.** ლვოვის საოლქო სასამართლოში გაირჩა უკრაინელი მუშურ - გლეხური გაზეთის „ნოვოე ჟიტიო“-ს რედაქტორის შერბაკოვის საქმე. შერბაკოვს ჰბრალდებოდა გაზეთში ცენზურის მიერ აკრძალული სამი წერილის მოთავსება. სასამართლომ შერბაკოვს გადაუწყვიტა დაპატიმრება ორი წლითა და 10 თვით და უფლებების აყრა

უკანასკნელი ცნობები

სტიქიური დემონსტრაცია

ბერლინი, 19 მაისი. 17 მაისს ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში, აკრძალვის მიუხედავად, მოხდა სტიქიური დემონსტრაცია ქუჩებში. დემონსტრანტებს მოჰქონდათ წითელი დროშა. პოლიციამ რეზინის ჯოხებით გაფანტა დემონსტრანტები და დააპატიმრა რამოდენიმე კაცი (ადს).

ემზადებიან წითელი აღლუმისათვის

ბერლინი, 19 მაისი. ჰამბურგში შემოღებულ იქნა გაძლიერებული თავდაცვის წესები. ამის გამო კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის კომიტეტი მოუწოდებს ბერლინის მუშებს — ემზადონ წითელი აღლუმისათვის, რომელიც დანიშნულია 2 ივნისისათვის ბერლინში (ადს).

ზომები ომის საწინააღმდეგო გამოსვლების წინააღმდეგ

პარიზი, 19 მაისი. პარიზის პოლიციამ მიიღო წინასწარი ზომები, იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს ომის საწინააღმდეგო გამოსვლებს, რომლებსაც საფრანგეთის კომპარტია აწყობს სამხედრო ავიაციის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით. ავიაციის დღესასწაული დანიშნულია ვენსენში 19 მაისისათვის.

პოლიციამ დააპატიმრა მრავალი მუშა. „ლიუმანიტე“-ს რედაქცია პასუხისგებაშია მიცემული იმ წერილისათვის, რომელიც ვენსენის დღესასწაულს შეეხებოდა (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

პარიზი, 19 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ავიაციის დღესასწაულის დროს ვენსენში პოლიციამ დააპატიმრა 82 კომუნისტი“

გერმანიის პოლიციას ეშინია კომკავშირელებისა.

ბერლინი, 19 მაისი. პოლიციამ ბერლინის ერთ-ერთ გუბერნიაში დააპატიმრა 130 კომკავშირელი, რომლებიც ექსკურსიაზე მიდიოდნენ წითელი დროშებით მორთული ავტომობილით. დაპატიმრებას ასაბუთებდნენ დემონსტრაციის აკრძალვით. ამავე დროს პოლიციამ დააკავა საბარგო ავტომობილი, რომელშიაც ისხდნენ კომუნისტების ბავშვები, რიცხვით 40. საბაბად გამოიყენეს ის, რომ საბარგო ავტომობილი მორთული იყო ორი წითელი დროშით. საბარგო ავტომობილი წაიყვანეს პოლიციაში, სადაც ბავშვები გაანთავისუფლეს (ადს).

სოციალ-დემოკრატების საბოტაჟი

ჰელსინგფორსი, 19 მაისი. ჰელსინგფორსში პროფორგანიზაციების ყრილობაზე სოციალ-დემოკრატებმა უარი სთქვეს საარჩევნო თანამდებობებზე, რის გამოც ორგანიზაციის თავმჯდომარეთ და მდივნად არჩეულ იქნენ მემარჯვენენი.

უარი კანდიდატურების წამოყენებაზე სოციალ - დემოკრატებმა დაასაბუთეს იმით, რომ პროფორგანიზაციებმა აშკარა კომუნისტური ელფერი მიიღო (ადს).

საპროტესტო კამპანია მუშების ხოცვა-ჟლეტის გამო

სტოკჰოლმი, 19 მაისი. უკანასკნელი კვირის განმავლობაში შვეციის კომპარტიამ სტოკჰოლმში ჩაატარა საპროტესტო კამპანია მუშების იმ ხოცვა-ჟლეტის გამო, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა ბერლინში მოაწყვეს. სტოკჰოლმში გაიმართა რვა მიტინგი, რომლებსაც 5.000 კაცი დაესწრო.

რუსეთის სახკომსაბჭოს ახალი თავმჯდომარე

მოსკოვი, 20 მაისი. ამხ. სირცოვი, სერგეი ივანეს ძე, დაიბადა 1893 წელს ეკატერინოსლავის გუბერნიის ს. სლავგოროდში. მამა მისი ნოქრად მსახურობდა. დედა წარმოშობით ს. სლავგოროდის გლეხის ქალი იყო. ამხ. სირცოვი 9 წლისა იყო, როდესაც ხარკოვის კომერციულ სასწავლებელში შევიდა. იქ ერთ წელიწადს დარჩა და შემდეგ, მშობლებთან ერთად, დონის როსტოვში გადავიდა. 1912 წელს დაამთავრა კომერციული სასწავლებელი და შევიდა პეტერბურგის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ეკონომიურ განყოფილებაზე. ინსტიტუტში იგი საზოგადოებრივმა ცხოვრებამ გაიტაცა. ჯერ მუშაობდა სტუდენტთა ლეგალურ ორგანიზაციებში (ურთიერთ დამხმარე სალარო და სხვ.), ხოლო შემდეგ — არალეგალურ ორგანიზაციებში.

1913 წლის დამლევს პარტიაში შევიდა. პარტიაში აწარმოებდა რევოლიუციონურ-პარტიულ მუშაობას („ალექსანდრ“-ეს სახელწოდებით) ჯერ სტუდენტებს შორის, ხოლო 1914 წლის შემოდგომიდან — ნევის რაიონის მუშებს შორის. იგი კანდიდატად ითვლებოდა უმაღლეს სასწავლებელთა ფრაქციის საოლქო კომიტეტში, იყო ნევის სარაიონო კომიტეტის წევრად. 1914 წლის მიწურულში ამხ. სირცოვი ორგანიზაციის სხვა წევრებთან ერთად დააპატიმრეს: ბრალდებოდა რ.ს.დ.მ.პ. (ბ) წევრობა. საქმე მის შესახებ გადაეცა ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს და 1915 წლის აგვისტოში გაირჩა პეტერბურგის სამხედრო - საოლქო სასამართლოში. სასამართლომ ამხ. სირცოვს მიუსაჯა 8 თვის ციხე წინასწარი პატიმრობის ჩათვლით. რადგან წინასწარ 9 თვე იყო დაპატიმრებული, ამიტომ განაჩენის გამოტანის შემდეგ გაანთავისუფლეს. 1915 წლის დამლევს ისევ გაერთო არალეგალურ პარტიულ მუშაობაში და 1916 წლის აპრილამდე მუშაობდა პეტერბურგის რაიონში, როგორც ორგანიზატორი და პროპაგანდისტი. იყო სარაიონო კომიტეტისა და აღმასრულებელი კომისიის წევრად, აგრეთვე რაიონის წარმომადგენლად პეტერბურგის კომიტეტში და ცეკას აღმასრულებელ კომისიაში. აპრილში, ლენის ამბების წლის თავზე, იგი დააპატიმრეს. საპყრობილეში 6 თვეს დაჰყო, შემდეგ ადმინისტრატიული წესით გადაასახლეს ირკუტსკის გუბერნიის ვერხოლენსკის მაზრის სოფელ მაჲუროკში. აქ დაჰყო თებერვლის რევოლიუციამდე.

პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ისევ შეუდგა მუშაობას პეტერბურგის რაიონში. აპრილის დამდეგს სამუშაოდ როსტოვში გადავიდა. იქ იყო როსტოვ - ნახიჩევანის პარტიული კომიტეტის წევრად და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს წევრად. როსტოვიდან გაიგზავნა, როგორც დელეგატი, მე-6 პარტიულ ყრილობაზე. იყო როსტოვის საბჭოსა და სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარედ. კალედინთან ბრძოლის დროს როსტოვის სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარედ იყო. როდესაც როსტოვი ისევ უკან იქნა დაბრუნებული, ამხ. სირცოვი კვლავ როსტოვის საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობებს ასრულებდა. 1918 წლის შემდეგ გაემგზავრა ფრონტზე, სადაც იყო მე-12 დივიზიის სამხედრო კომისრად. დეკემბერში დასჭრეს. გამომთელების შემდეგ ისევ დივიზიას დაუბრუნდა. შემდეგ 1921 წლამდე ამხ. სირცოვი სხვადასხვა დროს მუშაობდა დონის პარტიულ კომიტეტში და საოლქო საბჭოში, იყო ფრონტის შტაბის მზვერავი რაზმის კომისრად, ოდესის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარედ, საგუბერნიო რევოლიუციონური კომიტეტისა და საგუბერნიო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრად. შემდეგ 1926 წლამდე იყო საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ. ამავე დროს იყო კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ჟურნალ „კომუნისტიჩესკაია რევოლიუცია“-ს რედაქტორად. 1926 წლის თებერვლიდან უკანასკნელ დრომდე ამხ. სირცოვი იყო ციმბირის საოლქო პარტიული კომიტეტის მდივნად. პარტიის მე-13 ყრილობაზე ამხ. სირცოვი არჩეულ იქნა ცეკას კანდიდატად, ხოლო მე-14 ყრილობიდან დღემდე ითვლება საკავშირო კ.პ. (ბ) ცეკას წევრად. გარდა ამისა ამხ. სირცოვი სრულიად რუსეთის ცაკისა და საბჭოთა კავშირის ცაკის რამოდენიმე მოწვევის წევრია. (ადს).

სატყეო მეურნეობის განვითარება

მოსკოვი, 20 მაისი. საბჭოთა კავშირის სახ. საგეგმო კომისიამ საბჭოთა კავშირის სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა სატყეო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა. საექსპლოატაციო ტყის სივრცე ხუთი წლის განმავლობაში გადიდებულ იქნება შუა აზიაში 25 პროცენტით, ამიერ - კავკასიაში — 47 პროც. ტყე უნდა მოეწყოს შუა აზიაში 4 მილიონ ჰექტარზე, ამიერ - კავკასიაში — 1.700.000 ჰექტარზე. ეკონომიურად გამოკვლეულ უნდა იქნას შუა აზიაში 6 მილ. ჰექტარი ა.-კავკასიაში 9 მილ. ჰექტარი; შუა აზიის სატყეო მეურნეობაში გათვალისწინებულია 7.900.000 მან. დაბანდება, ამიერკავკასიის სატყეო მეურნეობაში — 10.000.000 მან. დაბანდება. (ადს)

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მდგომარეობა ჩრდ. ამერიკის შ ეერთ. შტატების კომპარტიაში

მოსკოვი, 20 მაისი. „პრავდა“-ში გამოქვეყნებულია კომინტერნის აღმასკომის მოწოდება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ყველა წევრებისადმი. მოწოდებაში, სხვათა შორის, ნათქვამია შემდეგი:

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის არც თვით ყრილობაზე და არც ამ ყრილობის შემდეგ არ მოხერხდა რაიმე საგრძნობი შედეგების მიღება ფრაქციულობის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში. კომინტერნის აღმასკომი ავალებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცეკას უმრავლესობას და უმცირესობას დაუყონებლივ დაშალონ ფრაქციები და შესწყვიტონ ფრაქციული მუშაობა.

ბრუნო იასენსკი მოემგზავრება საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 20 მაისი. საფრანგეთიდან გაძევებული პოლონელი მწერალი ბრუნო იასენსკი მოემგზავრება საბჭოთა კავშირში. 21 მაისს ის უკვე იქნება ლენინგრადში, ხოლო 22 მაისს მოსკოვში ჩამოვა.

ამხ. შალვა ელიავა ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის შესახებ

მოსკოვი, 20 მაისი. ამჟამად მოსკოვში მყოფ ამ.-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. შალვა ელიავამ „სელსკო - ხოზიაისტვენნაია გაზეტა“-ს თანამშრომელთან საუბარში ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ განაცხადა შემდეგი:

ამიერ - კავკასიის ხუთწლიან სამეურნეო გეგმაში, რომელიც უნდა დაამტკიცოს საბჭოთა მეხუთე საკავშირო ყრილობამ, სოფლის მეურნეობის საკითხებს დათმობილი აქვს განსაკუთრებული ადგილი. ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობა ნედლეულის მნიშვნელოვან ბაზისს წარმოადგენს არა მარტო ადგილობრივ, არამედ საკავშირო მრეწველობისათვისაც. ამავე დროს ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობა იძლევა ძვირფას საექსპორტო პროდუქციას.

სოფლის მეურნეობა ამიერ - კავკასიაში პრიმიტიულ მდგომარეობაშია, ამიტომ ადგილობრივ მთავრობამ მიზნად დაისახა გააღრმავოს მუშაობა ამიერ - კავკასიის ცალკე რაიონების სპეციალიზაციისათვის სხვადასხვა კულტურათა განვითარების გზით.

შემდეგ ამხ. ელიავამ მოიყვანა იმის დამახასიათებელი ციფრები, თუ როგორ იზრდება ბამბის ნათესების სივრცე ამიერ - კავკასიის რესპუბლიკებში და აღნიშნა, რომ ამიერ - კავკასიის ბამბას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო საფეიქრო მრეწველობისათვის.

ძალიან დიდი პერსპექტივებია ამიერ - კავკასიაში ჩაის კულტურის განვითარების დარგში. გარდა ამისა ამხ. შ. ელიავა შეეხო მეაბრეშუმეობას, მეთამბაქოობას და მევენახეობას. ამხ. ელიავამ აღნიშნა, რომ ყველა ამ კულტურათა დარგში უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში თვალსაჩინო მიღწევები აქვს.

დასასრულ ამხ. ელიავა ლაპარაკობს მელიორაციისა და ირიგაციის განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ამიერ - კავკასიაში. ამხ. ელიავას სიტყვით მტკვრისა და არაქსის გამოყენება ამიერ - კავკასიის უდაბური მინდორ - ველების მოსარწყავად ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მორიგი ამოცანაა, ასეთივე ყურადღების ღირსია კოლხიდის ჭაობების ამოშრობის საქმე.

ურალის ნავთის გარშემო

(ამხ. კოსიორის საუბარი ჩვენს კორესპონდენტთან)

მოსკოვი, 20 მაისი. გუშინ მოსკოვიდან პერმში გაემგზავრა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კოსიორი. გამგზავრების წინ, ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში, ამხ. კოსიორმა განაცხადა შემდეგი:

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს ურალის ნავთის აღმოჩენის ფაქტს. ჩვენი გადაწყვეტილებაა რაც შეიძლება მალე და ფართოდ შევუდგეთ ნავთის ბუდობების ყოველმხრივ გამოკვლევა - შესწავლას. მთელი მუშაობა ნიადაგის გასათხრელად იწარმოებს ახლად შედგენილ „ურალნევთ“-ის ძალთა საშუალებით.

სამთამადნო მუშათა კავშირის წერილი მთავრობის წევრებს

მოსკოვი, 20 მაისი. სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური წერილი გაუგზავნა ამხ. რიკოვს, კრჟიჟანოვსკის და კუიბიშევს. თავის წერილში სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკა შიშს გამოსთქვამს იმის გამო, რომ „გროზნევტ“-ის, „აზნევტ“-ის და „ემბანევტ“-ის რაიონებში ძალიან სუსტად მიმდინარეობს გამოკვლევა ნავთის ახალი წყაროების აღმოსაჩენად. წერილში ნათქვამია, რომ თუ ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა, ჩვენ ვერ შევასრულებთ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს ნავთის დამუშავების დარგშიო. სამთამადნო მუშათა კავშირის ცეკას მდგომარეობა მეტად სერიოზულად მიაჩნია, თავის წერილში ცეკა მოითხოვს მთავრობის წევრებისაგან, რომ იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირში

საქციზო გადასახადისაგან განთავისუფლება

მოსკოვი, 20 მაისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, საქციზო გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქნა აბრეშუმის და ნახევრად-აბრეშუმის შინამრეწველური ნაწარმოები. (ადს).

მიღწევათა შემსწავლელი და თვალყურის მადევნებელი ბიუროები

მოსკოვი, 20 მაისი. ამხ. რიკოვის სახელზე გაგზავნილ წერილში საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კვირინგმა წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის უდიდეს სახელმწიფოებში მოეწყოს სპეციალური ბიუროები, რომელნიც შეისწავლიან და თვალყურს ადევნებენ ამ სახელმწიფოების სასოფლო - სამეურნეო მეცნიერებისა და ტეხნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევებს. ამხ. კვირინგის აზრით, ასეთი „სოფლის მეურნეობის ატაშეები“ უნდა გაიგზავნონ გერმანიასა, ჩეხო-სლოვაკიასა, იტალიასა, დანიასა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. უნდა გაიგზავნონ სოფლის მეურნეობის დარგში ცნობილი საბჭოთა სპეციალისტები. (ადს).

ურალის ნავთის განსაკუთრებული ბიუროს მოწყობა

მოსკოვი, 20 მაისი. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა — „გლავგორტოპ“-თან მოეწყოს განსაკუთრებული ბიურო ურალის ნავთის საქმეებისათვის. ეს ბიურო უხელმძღვანელებს ნავთიანი ადგილების გამოკვლევას და ბურღვის საქმეს ურალზე.

ამხ. კოსიორის მოგზაურება ურალზე

მოსკოვი, 20 მაისი. 19 მაისს ურალში მოემგზავრება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კოსიორი. (ადს).

50.000 მან. შემახის აღმასკომს

მოსკოვი, 20 მაისი. ცენტრ. კომუნალური ბანკის გამგეობამ გადასწყვიტა — შემახის აღმასკომს მისცეს 50.000 მანეთი წყალსადენის ასაგებად ქალაქ შემახაში. წყალსადენის აგება უნდა დამთავრდეს 1930 წლის 1 იანვრისათვის. (ადს).

გემ „ჩიჩერინ“-ზე

ოდესა, 20 მაისი. გემ „ჩიჩერინ“-ით ოდესაში ჩამოიტანეს ეგვიპტის ბამბის რამდენიმე ათასი ბარდანა.

იაფაში ინგლისის პოლიცია შეეცადა ძალით დაესვა გემზე ბორკილებ-გაყრილი რამდენიმე მგზავრი, რომელთაც ვიზაც კი არ ჰქონდათ. კაპიტანმა პროტესტი განაცხადა. გემმა წამოიყვანა მხოლოდ ერთი, რომელიც აღმოჩნდა ემიგრანტი რუსეთიდან. იგი ინგლისელებს პალესტინიდან გაუძევებიათ. მასზე ეჭვი მიიტანეს, რომ იგი კომპარტიას ეკუთვნის. (ადს).

ნახშირის ამოღება იზრდება

არტემოვსკი, 20 მაისი. ქვანახშირის ამოღება „მარია“-ს მაღაროში კვლავ მატულობს. ეხლა მაღარო დღე-ღამეში იძლევა 1.600 ტონას (კატასტროფამდე მაღარო იძლეოდა 1.400 ტონას), ამასთან მცირდება პროდუქციის თვითღირებულება. (ადს).

მუშების განცხადება

სტალინო, 20 მაისი. ამხ. ტომსკის სახელობის მაკეევის ლითონის ქარხნის ქარხკომმა მუშებისაგან მიიღო განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„მარტისა და აპრილის განმავლობაში დიდი მიღწევები გვაქვს. ნორმები შევასრულეთ გადამეტებით, რის გამოც გადიდდა სამუშაო ხელფასი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეტად მაღალი ხელფასი მძიმე ტვირთად დააწვება სახელმწიფო ბიუჯეტს და ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიან გეგმას. ამიტომ დაბეჯითებით მოვითხოვთ ჩვენი გამომუშავების ნორმების გადიდებას. მოუწოდებთ ქარხნის სხვა ცეხების მუშებს — მიბაძონ ჩვენს მაგალითს. ჩვენ ვკისრულობთ — ნორმები გავადიდოთ 100 პროცენტით. კომპარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმავთ ჩვენს რიგებს და ერთსულოვანი მუშაობით მივაღწევთ შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის გამომუშავების გადიდებას“. (ადს).

მუშკორთა ინტერნაციონალური საღამო

მოსკოვი, 20 მაისი. 18 მაისს გაიმართა მუშკორთა ინტერნაციონალური საღამო, რომელიც მოაწყეს პროფინტერნმა, საკავშირო პროფსაბჭომ და მოსკოვის საგუბერნიო პროფსაბჭომ.

ამხ. ლოზოვსკიმ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მუშკორთა ინტერნაციონალური კავშირის ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების მუშების ურთიერთი გაცნობა მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებთან.

ამერიკის კომპარტიის ცეკას გენერალურმა მდივანმა ამხ. ფოსტერმა საბჭოთა მუშკორებს გადასცა ამერიკის მუშათა კლასის სალამი. ამხ. ფოსტერმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მუშკორების დაკავშირება ხელს შეუწყობს იმ ლეგენდის გაფანტვას, თითქოს ყველა ამერიკელი მუშა კარგად სცხოვრობს.

ამერიკაში კარგად უზრუნველყოფილია მუშათა კლასის მხოლოდ ზედა ფენა, ხოლო მუშათა კლასის მთელი დანარჩენი მასა ღატაკურად და მონურად სცხოვრობს და მწვავე მატერიალურ გაჭირებას განიცდის.

დასასრულ, კრებამ მიიღო მიმართვა კაპიტალისტური ქვეყნების მუშკორებისადმი, რომელშიაც კრება მოუწოდებს მათ — მუდმივი კავშირი დაამყარონ საბჭოთა ფაბრიკებისა და ქარხნების მუშკორებთან (ადს).

ნავთის მრეწველობის მორიგი ამოცანები

მოსკოვი, 20 მაისი. მემაღაროეთა კავშირმა ამხ. რიკოვს, დოგადოვს, კრჟიჟანოვსკის, კუიბიშევს და ჩუბარს გაუგზავნა განმარტებითი მოხსენება ნავთის მრეწველობის მორიგი ამოცანების შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ნავთიანი ადგილების გამოკვლევისა და ამობურღვის საქმე, აგრეთვე ნავთის გადამუშავება. მემაღაროეთა კავშირის ცეკა წინადადებას იძლევა — დაარსდეს დამოუკიდებელი ტრესტი ნავთიანი ადგილების გამოსაკვლევად და დეტალურად იქნას გამოკვლეული ამობურღვის სამუშაოს მდგომარეობა.

გარდა ამისა, ამერიკულ ფირმებს დაუყოვნებლივ უნდა შეუკვეთოთ კრეკინგ - დადგმულობანი ბენზინის დასამზადებლად. უნდა აიგოს ქარხანა ნავთის მრეწველობისათვის იარაღის და მოწყობილობის დასამზადებლად.

კონსულტანტებად მოწვეულ უნდა იქნან ამერიკელი სპეციალისტები და ამერიკაში უნდა გაიგზავნონ საბჭოთა ინჟინრები, ოსტატები და მუშები პრაქტიკული მუშაობისათვის. მემაღაროეთა კავშირის ცეკა თხოულობს მოხსენებაში აღძრული საკითხების დასამუშავებლად დაარსდეს მთავრობის სპეციალური კომისია. (ადს).

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე გაგზავნა

მოსკოვი, 20 მაისი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა: ის პირები, რომელთაც დაამთავრეს ინდუსტრიალურ - ტეხნიკური და სასოფლო - სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლები და ტეხნიკუმები, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების ინდუსტრიალურ - ტეხნიკური, სასოფლო - სამეურნეო, ეკონომიური, საექიმო, პედაგოგიური ფაკულტეტები, გაგზავნილ უნდა იქნან სამუშაოდ სახელმწიფო, საზოგადო და კოოპერატიულ დაწესებულებებსა და საწარმოებში. მათი განაწილება უნდა მოხდეს იმ ყოველწლიური გეგმების მიხედვით, რომელსაც საკავშირო შრომის სახ. კომისარიატი ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებთან ერთად. ამგვარი წესით სამუშაოზე მიღებული სპეციალისტები სამი წლის გასვლის შემდეგ, შტატების შემოკლების გამო, შეიძლება დათხოვნილ იქნენ მხოლოდ შრომის ადგილობრივ განყოფილებებთან შეთანხმებით. უმაღლესი სასწავლებლის კურს დამთავრებული სპეციალისტები განაწილების წესით სამუშაოს მიღების უფლებას ჰკარგავენ იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამუშაოზე არ გამოცხადდებიან სამი თვის განმავლობაში მიწერილობის მიღების დღიდან, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ისინი დათხოვნილნი იქნებიან დაკისრებული მოვალეობის სისტემატიურად შეუსრულებლობის ან ბოროტმოქმედების ჩადენის გამო.

საკავშირო სახკომსაბჭომ ეს დადგენილება დასამტკიცებლად გადასცა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

საჯარო ბიბლიოთეკის გაქურდვა

ერევანი, 19 მაისი. დამთავრდა ამხ. მიასნიკოვის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის გამგის მოადგილის გ. ურიკლიანის საქმის გამოძიება. მაისის უკანასკნელ რიცხვებში საქმეს გაარჩევს სომხეთის უზენაესი სასამართლოს სამოსამართლო კოლეგია. გამომძიებამ გამოარკვია, რომ 1926 წლიდან ურიკლიანი ჯერ როგორც პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ინსპექტორი (ბიბლიოთეკებისა და კლუბების დარგში), ხოლო შემდეგ, 1928 წლიდან როგორც ამხ. მიასნიკოვის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, სისტემატიურად ითვისებდა ძვირფას წიგნებს, მეცნიერულ - ისტორიულ დოკუმენტებს, ექსლიბრისებს, იღებდა სხვადასხვა მხატვრულ გამოცემებიდან იშვიათ გრავიურებს, წიგნის ნიშნებს და სხვ. წიგნების, გრავიურების, დოკუმენტების, ექსლიბრისების და წიგნის ნიშნების ერთი ნაწილი აღმოაჩინეს ურიკლიანის ბინაზე ერევანში, ექსლიბრისებისა და წიგნის ნიშნების მეორე ნაწილი ურიკლიანს გაუგზავნია სხვადასხვა დაწესებულებებისათვის გადასაცვლელად ან გაუყიდია როგორც კოლექციური მასალა.

გამომძიებამ გამოარკვია აგრეთვე, რომ ურიკლიანს, რომელიც 1921 წლიდან მუშაობდა განჯის ბიბლიოთეკაში, ხოლო შემდეგ — თბილისის ბიბლიოთეკებში, ამ ბიბლიოთეკებიდანაც გაუტანია ძვირფასი წიგნები. ურიკლიანის საქმით დაინტერესებული არიან საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო ფენები. (ადს).

აქტივისტის მხეცურად მოკვლა

სტეპანაკერტი, 19 მაისი. სოფელ ხაცაბერტში (გადრუთის რაიონში) ძმებმა კულაკებმა — გრიგოლ, მელიქს და ლევონ ეგანოვებმა, ცულით მხეცურად მოჰკლეს აქტივისტი — მოჯამაგირე ივანე ოგანეზოვი. კულაკები შეეცადნენ აგრეთვე პარტუჯრედის მდივნის შაქარ აივაზოვის მოკვლას, მაგრამ მოუსწრეს გლეხებმა, რომელთაც ძმები დაიჭირეს.

მკვლელობა მოხდა კლასიურ ნიადაგზე. ძმები ეგანოვები აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტები არიან. კონტრრევოლიუციონური აჯანყების დროს ისინი ხვრეტდნენ წითელარმიელებს. საარჩევნო კამპანიის დროს ისინი არა ერთხელ შეეცადნენ კრებების ჩაშლას, უკანასკნელ დროს ეწეოდნენ აგიტაციას განსაკუთრებული კულაკური გლეხკომის შესაქმნელად. რადგან ეგანოვების გამოსვლების წინააღმდეგ იბრძოდნენ ღარიბი და საშუალო გლეხები, რომლებიც ემხრობოდნენ კომუჯრედს, ამიტომ ეგანოვებმა გადასწყვიტეს — მოეშორებიათ უჯრედის მდივანი და მოჯამაგირე აქტივისტი. მკვლელობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელ გლეხობაში. მთელი რიგი სოფლების კრებები ერთხმად მოითხოვენ კულაკ ეგანოვების დახვრეტას. (ადს).

საქ. მწერალთა დელეგაცია ბაქოში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ამიერ - კავკასიის ხალხთა კულტურული ერთობის კვირეულის ჩატარებამ ბაქოს მთელი პროლეტარული საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. მწერალთა დელეგაციას არ დაუტოვებია დაუთვალიერებელი არც ერთი კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულება. ქართველი მწერლები გამოვიდნენ საბუნჩის რაიონის ახლად დამთავრებულ მუშათა მშვენიერ კლუბში. მწერალთა გამოსვლა გადაცემულ იქნა რადიოთი.

19 მაისს, საღამოს, ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში შესდგა სპეციალური საქმიანი თათბირი, რომელზედაც მოხსენებით აზერბეიჯანის კულტურული ცხოვრებისა და სახალხო განათლების შესახებ, გამოვიდა აზერბეიჯანის განათლების სახალხო კომისარი ამხ. კულიევი. მომხსენებელმა გააცნო დელეგაციას სახალხო განათლების სისტემის, მეცნიერების, მხატვრული ლიტერატურის, სათეატრო ცხოვრების, კინოს, ხელოვნების, მუსიკისა და არქიტექტურის წინანდელი და თანამედროვე მდგომარეობა აზერბეიჯანში.

კამათში გამოვიდნენ საქართველოსა და აზერბეიჯანის მწერლები, რომლებიც შეეხნენ ა.-კავკასიის ხალხთა კულტურულ დაახლოებისა და მჭიდრო დაკავშირების პრაქტიკულ ამოცანებს. ორატორებმა ამ მიზნის მისაღწევად შემოიტანეს მრავალი საქმიანი წინადადება (ა.-კავკასიის განათლების კომისართა თათბირების სისტემატიური მოწვევა, თარგმანების საკითხის მოგვარება, ა.-კავკასიის ხალხთა მუსიკის შესწავლა კონსერვატორიებში და სხვ.).

თათბირის შემდეგ მოეწყო ბანკეტი კონცერტით და გამოვიდნენ საქართველოსა და აზერბეიჯანის მწერლები.

დელეგაციას დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ყველა მუშურ რაიონებში. დელეგაციის წევრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ბაირამოვის სახელობის ქალთა კლუბმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დაწინაურებული გლეხი ქალი **გულარა კორდი ბეკოვა**. კლუბის სახელოსნოებში სწავლობენ თურქი ქალები, რომლებმაც უკვე მოიხადეს ჩადრი.

ორი დღის განმავლობაში დელეგაციამ დაათვალიერა საფაბრიკო - საქარხნო რაიონი, ნავთის გამწმენდი ქარხანა, საფეიქრო ფაბრიკა, ლუდის და პურის ქარხნები, ისტორიული ძეგლები და მუზეუმები.

დღეს, საღამოს, კულტურულ მომუშავეთა და მწერალთა კრებაზე მოხსენებით საქართველოს მხატვრული ლიტერატურის შესახებ გამოვიდა **გ. რობაქიძე**. მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი.

8 საათზე „კულტურის სახლში“ გაიმართა გრანდიოზული საღამო, რომელიც მოწყობილ იქნა პროფსაბჭოსა და განათლების კომისარიატის მიერ. დელეგაციას მიესალმნენ მუშების და კულტურულ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამხ. **ბუაჩიძემ** გააკეთა მოხსენება თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესახებ და გააცნო დამსწრეთ მთავარი მიმართულებები ქართულ ლიტერატურაში.

საღამოს საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ბაქოს საუკეთესო არტისტულმა ძალებმა.

ვ. წულუკიძე.

ბაქო, 20 მაისი.

მოსავალს კარგი პირი უჩანს

ხარკოვი, 20 მაისი. ამ უკანასკნელ დროს მოსული დიდი წვიმის გამო, უკრაინაში პირობები ხვნა - თესვისათვის სავსებით ხელსაყრელია. შემოდგომის ნათესის საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და თანდათან უმჯობესდება. მოსალოდნელია, რომ შემოდგომაზე დათესილი ხორბლისა და ჭვავის მოსავალი შარშანდელ მოსავალს 3.276.100 ტონით მაინც გადააჭარბებს, მარცვლეული კულტურების კონტრაქტაციის გეგმა შესრულებულია 127 პროცენტით. მანქანათმშენებლობისა და კრედიტების მიწოდების გეგმაც გადაჭარბებით არის შესრულებული. (ადს).

ავტომობილის ავარია

ბათომი, 20 მაისი. ბათომის მახლობლად სტაკლამისაკენ მიმავალ გზა-ტკეცილზე ავარია განიცადა ავტომობილმა, რომელშიაც იჯდა სამი მგზავრი. ავტომობილი ეკუთვნის ამერიკულ ფირმას „სტანდარტ ოილ“-ს. ავტომობილს მართავდა ერთ-ერთი მგზავრი ქალი, რომლის გამოუცდელობის გამო ავტომობილი არხში გადაიჩეხა. მგზავრები არ დაშავებულან. ავტომობილი არხიდან დიდის გაჭირვებით ამოიღეს. (ადს).

დაშნაკების გულუბრყვილო სისულელე

როცა სომხეთის კომპარტიამ არა ქრისტიანულად, არამედ ბოლშევიკურად დასვა საკითხი დაშნაკცუტიუნთან, დაშნაკურ ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან ბრძოლის შესახებ, დაშნაკური პრესა საზღვარგარეთ გაცოფდა: იგი გაზეთების ფურცლებს ავსებს წერილებით და მიმოხილვებით ამ საჭირბოროტო საკითხზე.

კლასობრივი მტერი დორბლს ჰყრის — ეს იმას ნიშნავს, რომ მას მოხვდა მტკივნეულ ადგილას. დაშნაკურ იდეოლოგიასთან (ეს კი ზოოლოგიური შოვინიზმის იდეოლოგიაა) ბრძოლის გაძლიერება ნაკარნახევია სომხეთის სოციალისტური მშენებლობის მთელი მსვლელობით. სომხეთმა სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად უკვე განვლო აღდგენის პერიოდი. ყველაფერი, რაც დანგრეული და გაჩანაგებული იყო დაშნაკური პარტიის ბატონობის დროს, დღეს აღდგენილია, და საბჭოთა სომხეთი სდგამს პირველ ნაბიჯებს სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისაკენ. ისე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, სომხეთშიაც ადგილი ექნება რეკონსტრუქციის პერიოდის სიძნელეებს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას, კლასობრივ მტრების აქტივიზაციას საზღვარგარეთ და სხვ. რასაკვირველია, სომხეთის მშრომელთა მთავარი მტერი არის დაშნაკური პარტია. აქედან გამომდინარეობს დაშნაკცუტიუნის იდეოლოგიასთან დაუზოგველი ბრძოლის, დაშნაკური პარტიის ნაშთებთან გაფართოებული ბრძოლის ლოზუნგი.

საზღვარგარეთ დაშნაკელებმა კომენტარიები გაუკეთეს სომხეთის კომპარტიის ამ მებრძოლ ლოზუნგს, მიიღეს ჭკვიანური გამომეტყველება და მსახიობის პოზა და ყალბი ხმით დაიწყეს წრიპინი დაშნაკცუტიუნის რაღაც „გამარჯვებების“ შესახებ.

ამ ჟუნიმთ ხალხის (იშვიათი თავზე ხელაღებულნი, მაგრამ ცუდი მოაზროვნეები არიან!) ფილოსოფია მეტად პრიმიტიულია: თუ ბოლშევიკებმა წამოაყენეს დაშნაკცუტიუნთან გადამწყვეტი ბრძოლის ლოზუნგი, მაშასადამე, ჯერ კიდევ ცოცხალია დაშნაკური ძალა, მაშასადამე, დაშნაკცუტიუნის გავლენა გაიზარდა და გამარჯვებაც შორს აღარ არისო. დაშნაკთა ბელადების და პროფესიონალ მეჯლაბნელთა აზროვნება ვერ შეედრება მათ მაუზერისტულ უნარს. დაშნაკები კაპიტალის ერთგული მსახურნი და შოვინიზმის მონებნი არიან. ისინი, რასაკვირველია, სასაცილოდ და საცოდავად გამოიყურებიან როცა ძლევა მოსილობის ნიღაბს იკეთებენ. ზედმეტია მათ გაკოტრებაზე ლაპარაკი, მაგრამ სასაცილო იქნება იმის თქმა, რომ საბჭოთა სომხეთს არა ჰყავს კლასობრივი მტერი. დაშნაკცუტიუნთან ბრძოლის ლოზუნგი დღემდის აქტუალურია არა იმიტომ, რომ დაშნაკცუტიუნმა „გააძლიერა“ თავისი გავლენა საბჭოთა სომხეთში, არამედ იმიტომ რომ კლასობრივი მტერი პროლეტარიატის დიქტატურას ებრძვის დაშნაკიზმის იარაღით, კულაკი სომხეთში დაშნაკცუტიუნის იარაღით იბრძვის და იბრძოლებს საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. შეიძლება ეს „ახალი ამბავი“ იყვეს ვრაციანებისათვის? ჩვენთვის არ არის „ამერიკის აღმოჩენა“, არამედ კომუნიზმის ანბანური ჭეშმარიტებაა.

და როცა ბატონი ვრაციანები დაქირავებულ მეჯლაბნელთა და საბჭოთა ქვეყნიდან გაქცეული ბერის აკინიანის ტიპის დეგენერატ „მეცნიერთა“ და სხვა ვიგინდარების საშუალებით იმოსებიან დღეს „გამარჯვებულთა“ საჭურველით — ეს ჰგავს პარიჟის ან ბოსტონის მესამე ხარისხოვან კაფე შანტანში გათამაშებულ ფარსს.

„დაშნაკცუტიუნის დევნამ, — სწერს „უსაბერი“, — არა თუ არ მოსპო დაშნაკცუტიუნი არამედ, პირიქით, „დაშნაკური იდეოლოგია“ თითქმის მთელი სომხეთის ხალხის კუთვნილებად გადაიქცა“.

„უსაბერს“ არ აკლია „თავდაბლობა“, მაგრამ მასში სისულელე მაინც სჭარბობს, ამ გაზეთის ფურცლებზე სისულელე შადრევანად სჩქეფს.

„ცოტა უფრო ღრმად დაუკვირდით, — სწერს „უსაბერი“, — და დაინახავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება შეგნებულ და ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს ყველა ფრონტზე არა ჩვენს წინააღმდეგ, არამედ იმ სომხის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენში ბუდობს“.

ამ გენიალური აღმოჩენის შემდეგ, იგივე „უსაბერი“ მეორე მოწინავე წერილში სათაურით „ფარული ძალა“ სწერს:

„ვისაც ბოლშევიზმი აშინებს, ჩვენ მიერ ჩვენი საკუთარი სახის, ჩვენი ეროვნების დაკარგვის თვალსაზრისით, მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს იმ დიად, მოქნილ და ცხოველმყოფელ ძალაზე რომელიც იფარება ჩვენს ხალხში, რასაკვირველია, ბოლშევიზმი სომხეთში მოვიდა იმ მიზნით, რომ იქ დარჩეს სამუდამოდ. ბოლშევიზმი ცდილობს მოახდინოს სომხის ბოლშევიზაცია. მოსპოს ჩვენი ეროვნული სახე. მაგრამ სომხებიც არ არიან გულზე ხელდაკრეფილნი. თუ ბოლშევიზმს უნდა დარჩეს ჩვენს სამშობლოში სომხების ბოლშევიზაციის ფასად, სომხობამ, თავის მხრივ, — თუ იგი იძულებულია შეინარჩუნოს ბოლშევიზმი თავის უბეში, ეს უნდა გააკეთოს ბოლშევიზმის გასომხურების ფასად. ისტორია მრავალი ფაქტით ამტკიცებს, რომ პირველი (ე. ი. სომხების ბოლშევიზაცია) შეუძლებელია; შეუძლებელია ერის გათქვეფა პოლიტიკურ მოძღვრებაში. არა, არ არსებობს და არასოდეს არ არსებობდა ისეთი „იზმი“, რომელიც შესძლებს მრავალი თაობის მიერ საუკუნოების განმავლობაში შექმნილ ძვირფასი და საიდუმლო საუნჯის განადგურებას (ეროვნების). მუდამ ელვარე ცეცხლში დნებოდა და სამუდამოთ ჰქრებოდა ყველა პოლიტიკური მოძღვრება, მაშასადამე, უეჭველად უნდა დაიღუპოს ბოლშევიზმიც“.

ამ ლაყბობიდან სწორია მხოლოდ ერთი: **ბოლშევიზმი სომხეთში შევიდა იმ მიზნით, რომ სამუდამოდ დარჩეს იქ.**

ეს კლასობრივმა მტერმაც კი შეიგნო. მას უკვე აღარა სწამს ბოლშევიზმის დამხობის შესაძლებლობა, ცდილობს ამ, მისთვის სამწუხარო, აუცილებლობასთან შეგუებას და აყენებს **ბოლშევიზმის გასომხურების ლოზუნგს.**

რა არის ეს, გულუბრყვილობა თუ, სისულელე?

ეს არის სისულელე, რომელსაც სოციალური ფესვები აქვს.

ამ განსაცვიფრებელი მოწინავის ავტორი თავისი აზრების დასამტკიცებლად ცდილობს, დაეყრდნოს ისტორიას. ეს ახირებული ისტორია თურმე ამბობს, რომ განუხორციელებელია „სომხების ბოლშევიზაცია“, მაგრამ სამაგიეროდ სავსებით შესაძლებელია მოხდეს „ბოლშევიზმის გასომხურება“-ო. მაგრამ სად, როდის, ან რომელი ისტორია გვეუბნებოდა ამას? მთელი მსოფლიო რევოლუციონური მოძრაობის ისტორია გვეუბნება, რომ შესაძლებელია ბოლშევიზაცია ყოველი ეროვნების მშრომელის: სომხის, ქართველის, ჩინელის, ინდოელის, არაბის და სხვ., ისტორიულად ბეცი და გამოთაყვანებული უნდა იყო, რომ ეს არ იცოდე და ვერ დაინახო. მაგრამ სამაგიეროდ ისტორიას არ ახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ მომხდარიყოს ბოლშევიზმის გასომხურება, გაქართულება, გაფრანგება ან გაინდოელება. ასეთი სასწაული ისტორიაში არ მომხდარა და არც მოხდება. ჩვენში, საქართველოში, ბოლშევიზმის გაქართულებას ცდილობდნენ, მაგალითად, უკლონისტები. და განა არ ვიცით, რა ბედი ეწია ამ ცდას? ამ თეორიის ავტორები ან საპატიმროებში სხედან, ან გადასახლებულნი არიან არც თუ ისე შორეულ ადგილებში. იყო აგრეთვე „ბოლშევიზმის გასომხურების“ ერთგვარი ცდები, მაგრამ ეს ცდები საბოლოოდ დაამსხვრია სომხეთის **ბოლშევიზმმა.**

ბოლშევიზმი ინტერნაციონალურია, უინტერნაციონალიზმოთ არ არსებობს ბოლშევიზმი.

„უსაბერს“ ვურჩევთ ხელი მიჰყოს პოლიტცოდნის ანბანის შესწავლას.

ბოლშევიზმის გასომხურების ლოზუნგი სასოწარკვეთილების შედეგია. ეს მორიგი დაშნაკური სისულელეა (არ ვიცით მერამდენე!!).

ეს სისულელეა, ვინაიდან არ შეიძლება ბოლშევიზმის „გასომხურება“ ისევე, როგორც არ შეიძლება დაშნაკიზმის „განინტერნაციონალება“ ან მაგარ შუბლიანი ბოლდუინის გაბოლშევიკება, ან, თუ გნებავთ, ისეთი მდგომარეობის მიღწევა; რომ „უსაბერმა“ თავი გაანებოს სისულელის წერას.

რუბენი.

პარტიაში

„წინასწარ ჩატარებული წმენდის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წმენდა არა თუ ანთავისუფლებს პარტიას მავნე და გამოუსადეგარ ხალხისაგან, არამედ უაღრესადაც ამაღლებს მის ავტორიტეტს მუშების თვალში და აძლიერებს მასების პოლიტიკურ აქტივობას“.

ვადამდე წმენდის გაკვეთილები

თავისი რიგების გენერალურ შემოწმებას პარტია ამჟამად სავსებით მომზადებულად იწყებს. მას აქვს არა მარტო გასულ წლებში (1921-24) ჩატარებული წმენდის გამოცდილება, არამედ იმ ვადამდე წმენდის გამოცდილებაც, რომელიც ჩატარებულ იქნა ამ ცოტა ხნის წინად მთელ რიგ ორგანიზაციებსა და უჯრედებში და რომელმაც დაგვანახვა, თუ როგორ ხდება ეხლანდელ პირობებში წმენდა, რა უშლის ხელს მის სწორად ჩატარებას და რა შედეგებს იძლევა იგი.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ვადამდე წმენდის გაკვეთილები გათვალისწინებულ და გამოყენებულ იქნან ეხლანდელი საერთო წმენდის დროს. ეს არა მარტო ხელს შეუწყობს წმენდის ჩატარებას რაც შეიძლება ნაკლები შეცდომით და ხაზის გამრუდებით, არამედ წმენდას პარტიული და უპარტიო მასების პოლიტიკური აღზრდის, მძლავრ იარაღადაც გადააქცევს.

რა დამახასიათებელი თავისებურებანი შეიძლება აღინიშნოს ვადამდე შემოწმების ჩატარებაში? ძირითადი თავისებურება არის წმენდის სხვადასხვა შედეგი იქ, სადაც მოხდა წინასწარი მომზადება წმენდისათვის, და იქ, სადაც ასეთ მომზადებას ადგილი არ ჰქონია. ზოგიერთ ადგილას არ სწარმოებდა არავითარი ახსნა-განმარტებითი მუშაობა წმენდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამ ამოცანებს არ იცნობდნენ არა მარტო უპარტიონი, არამედ პარტიულებიც. ბუნებრივია, თუ ასეთ შემთხვევებში მასები ხშირად სათანადოდ არ იყვნენ ჩაბმული წმენდაში და თუ თვით მონაწილეობის ფორმებიც ისეთი არ იყო, როგორიც საჭიროა.

აქა-იქ უჯრედები ცდილობდნენ (მართალია, ასეთი უჯრედების რიცხვი ძალიან მცირე იყო), რაც შეიძლება მაგრად მიეხურათ კარები, ჩამოეშორებიათ მასა და ჩაეხშოთ მისი თვითმოქმედება. ასეთ პირობებში წმენდის შედეგებიც ვერ იყო დამაკმაყოფილებელი. რასაკვირველია, აქაც ახერხებდნენ მიტმასნილი ელემენტების გამოაშკარავებას და გაძევებას, მაგრამ ეს არ ჩაითვლება პარტიული ორგანიზაციის მუშაობის ნამდვილ შემოწმებად, მასების პოლიტიკური აქტივობის გამომჟღავნებად, რაც წმენდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დადებით შედეგს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ვადამდე შემოწმების დროს მასები წმენდაში საკმაოდ ფართო მონაწილეობას იღებდნენ. კრებებზე გამოდიოდნენ არა მარტო პარტიულები, არამედ უპარტიოებიც. ამ გამოსვლებს, მცირეოდენი გამოკლებით, საქმიანი და სერიოზული ხასიათი ჰქონდა. შემოწმებული გამოცდილების საფუძველზე ეხლა უკვე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად სწორი და რამდენად საჭირო იყო ფართო მასების ჩაბმა წმენდაში.

ვადამდე წმენდამ დაგვანახვა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს შემმოწმებელი კომისიების სწორ მიდგომას მუშაობისადმი. მასების აქტიური მონაწილეობა შემოწმებაში და წმენდის შედეგები ამა თუ იმ ორგანიზაციისათვის დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შესწევს შემმოწმებელ კომისიებს უნარი აიღონ სწორი ტონი, თავიდანვე შექმნან ამხანაგური ნდობის ატმოსფერა და არ ააცდინონ შემოწმება პრინციპიალურ და პოლიტიკურ დონეს. ვადამდე წმენდის მასალები გვიჩვენებენ, რომ სწორი მიდგომის შედეგად ბევრ ორგანიზაციაში წმენდა ჩატარებულ იქნა ნამდვილი თვითკრიტიკისა და შინაპარტიული დემოკრატიის ნიშნით, რომ განმტკიცდა უჯრედების კავშირი უპარტიო მასასთან და რომ წმენდამ, რომელმაც დაგვანახვა არა მარტო ცალკე კომუნისტების, არამედ პარტმუშაობის საერთო დეფექტები, ხელი შეუწყო პარტიული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაცხოველებას.

ვადამდე წმენდის საერთო შედეგი ამ საქმეში დადებითია, თუმცა ცალკე შემთხვევებში შემმოწმებელი კომისიების მიერ დაშვებულ იქნა შეცდომები. ზოგიერთი შემმოწმებელი კომისია ამხანაგურად ვერ მოუდგა შესამოწმებელთ და წმენდამ ჩაიარა არანორმალურად, ნერვიულ პირობებში. აქა-იქ შემმოწმებელი კომისიები ძალიან გაიტაცა პოლიტცოდნის შემოწმებამ; ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მთავარ საკითხს, თუ რამდენად სწორად ატარებს პარტიის წევრი პარტიულ ხაზს თავის პრაქტიკულ მუშაობაში. ზოგიერთ უჯრედში შემმოწმებელმა კომისიებმა არ მიიღეს საჭირო ზომები იმისათვის, რომ უზრუნველეყოთ უპარტიოთა ჩაბმა წმენდაში.

ვადამდე წმენდის ჩატარების დროს გამოირკვა, რომ ფრიად მნიშვნელოვანია შემმოწმებელი კომისიების მუშაობის ორგანიზაციული მხარეც. იყო შემთხვევები, როცა შემმოწმებელი კომისიების წარმომადგენლები მოუმზადებელნი გამოდიოდნენ ღია კრებებზე და აბნეულად და გაურკვევლად აცხადებდნენ პარტსასჯელს, არაფრით არ ასაბუთებდნენ სასჯელს და არ აღნიშნავდნენ პარტიის წევრის კონკრეტულ დანაშაულს.

ეს ჰქმნიდა გაუგებრობებს, რომლებიც ასუსტებდნენ პარტიულთა და, განსაკუთრებით, უპარტიოთა ნდობას შემმოწმებელი კომისიების გადაწყვეტილებებისადმი. ეს გარემოებაც უნდა იქნას მიღებული მხედველობაში გენერალური წმენდის ჩატარების დროს.

ვადამდე წმენდის გამოცდილება გვეუბნება ბევრ რამეს, პირველ ყოვლისა კი იმას, რომ ჩვენ სწორი გზით მივდივართ, რომ წმენდა არა თუ ანთავისუფლებს პარტიას საზიანო და გამოუსადეგარი ხალხისაგან, არამედ უაღრესადაც აძლიერებს პარტიის ავტორიტეტს მუშათა მასის თვალში, ამაგრებს პარტიის კავშირს მასასთან და აძლიერებს მასების პოლიტიკურ აქტივობას.

პარტიის გენერალური წმენდის ჩატარების დროს, რასაკვირველია, შეცდომებიც იქნება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვით წმენდის დროს შევამჩნიოთ და გამოვასწოროთ ეს შეცდომები. მთელი პარტია ყურადღებით ადევნებს თვალყურს იმას, რომ წმენდის დროს გატარებულ იქნას სწორი ხაზი. პრესამ თვალსაჩინო და საპასუხისმგებლო როლი უნდა ითამაშოს ამ საქმეში. პრესის ამოცანაა — დროზე გამოააშკარაოს წმენდისადმი არასწორი მიდგომის ყველა შემთხვევა, პარტიული დირექტივის ყოველგვარი გადამახინჯება, ყოველგვარი არანორმალობა, რომელიც შემჩნეული იქნება.

ის ორგანიზაციები, რომელთაც ვადამდე წმენდა გაიარეს, გამოვიდნენ წმენდიდან უფრო განმტკიცებულნი, გაჯანსაღებულნი და მეტის მუშაობის უნარით აღჭურვილნი. დარწმუნებულნი ვართ, რომ პარტიის გენერალური წმენდა საერთაშორისო კომუნისტური არმიის მოწინავე რაზმს — საკავშირო კომპარტიას (ბ) უფრო მეტად შეამჭიდროებს და გააძლიერებს.

„პრავდა“, 19 მაისი.

ვინ უნდა გაიწმინდოს პარტიიდან

რკინის ცოცხის ღირსია

(თბილისი, კოლოფების ფაბრიკა)

აქ გვინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვათ პარტიის უღირს წევრ სურენ ფრიდონოვზე. ეს ვაჟბატონი გახლავთ კოლოფების ფაბრიკის მუშა, რომელსაც სულ რამოდენიმე დღეა, რაც ლენინის რაიკომმა გამოუცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით ხულიგნური მოქცევისათვის. ხულიგნობა გამოიხატა იმაში, რომ ფრიდონოვი წერილობით სიკვდილით დაემუქრა ჩვენი პარტიის უხუცეს წევრს, ამხ. მიხა ჩოდრიშვილს.

25 აპრილს, დღის 12 საათზე ფრიდონოვი დახვდა საკონტროლო კომისიის წევრს, საბინაო ამხანაგობის № 49-ს გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. **სტეფანე ზაქრაძეს** და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება მოუნდომა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა, ვინაიდან ამხ. სტეფანეს დაეხმარნენ უპარტიო მუშები — საბინაო ამხანაგობის წევრები. ეს ფაქტი კიდევ ცოტაა ხულიგან ფრიდონოვის დასახასიათებლად. ამას წინად ფრიდონოვმა მონაწილეობა მიიღო ქორწილში, გალეშილი გამოვიდა ქუჩაში და ასტეხა სროლა.

ვფიქრობთ, გამწმენდი კომისია აიყვანს აღრიცხვაზე ამ ხულიგანს.

სახელოსნოელი.

მიწა გაყიდა

(ბაღდათი, ქუთაისის მაზრა)

ბაღდათის კომუჯრედში ითვლება პარტიის წევრი **კოლია არწივიძე**. მან 1924 წელში **გაყიდა ერთი ქცევა მიწა, რისთვისაც** 1928 წელს გასამართლებული იქნა და მიესაჯა 6 თვის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ამნისტიის ძალით სასჯელი არ მოუხდია. კომუჯრედის მდივანმა ძმა-ბიჭურად მიაფუჩეჩა საქმე და არწივიძე ისევ პარტიაში დარჩა.

1927 წელს ამავე არწივიძემ მონათლა ბავშვი საეკლესიო წესით. კომუჯრედის კომისიამ ეს ფაქტიც დაადასტურა, მაგრამ უჯრედის მდივანმა ეს საქმეც დაფარა.

მშრ. გლეხობამ იცის არწივიძის „საქმენი საგმირონი“, მის თვალში ასეთი წევრები ჩირქს სცხებენ კომუნისტურ პარტიას.

დროა მოაშორონ არწივიძე კომუნისტურ პარტიას.

კომუნარი.

ბავში მონათლა

(მუხრანის თემი)

ჩვენს ორგანიზაციაში თურმე არიან ისეთა პირები, რომლებიც ასრულებენ რელიგიურ წესებს. მაგალითისათვის დავასახელებთ პარტიის წევრს და კომკავშირელს მიშა მახნიაშვილს მუხრანის თემიდან. მან ამას წინად მონათლა თავისი ბავში მღვდლით და ქეიფიც კარგი გადაიხადა. კომკავშირელები და პარტიულები გაკვირვებული არიან იმით, რომ პასუხი არავინ მოსთხოვა ცრუმორწმუნეობის ხელისშემწყობ კომუნისტს.

თვითონ მახნიაშვილს რომ ჰკითხოთ თუ რატომ ჩაიდინა ეს, გიპასუხებთ: „ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოდან, მე სახელმწიფოს საქმეში არ ჩავრევივარ და არც ჩავერევი, ბავშის მონათლა კი ეს ოჯახური, პირადი საქმეა, ოჯახის სხვა წევრებს თუ სურთ შენ წინააღმდეგ ხომ ვერ წახვალო. საკითხავია ასეთი „კომუნისტი“ რომელ მშრომელ მასას დაარწმუნებს იმაში, რომ ღმერთი არ არის?

ამჟამად მახნიაშვილი მუშფაკში სწავლობს და თავი დიდ კომუნისტად მოაქვს, სულ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ლაპარაკობს კომუნისტურ მორალისა და ახალი ოჯახის შესახებ.

კომუნისტი.

მხარს უჭერენ მე-16 პარტყრილობის გადაწყვეტილებებს

ერევანი, 20 მაისი. ერევნის პარტაქტივის კრებამ, რომელიც 800 კაცისაგან შესდგებოდა და რომელმაც 18 და 19 მაისს გასტანა, მოისმინა სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მდივნის ამხ. კოსტანიანის მოხსენება პლენუმისა და მე-16 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ. კამათის დასრულების შემდეგ აქტივმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს პლენუმისა და კონფერენციის ყველა გადაწყვეტილებას და განსაკუთრებით აღნიშნავს გადამწყვეტი ბრძოლის საჭიროებას მემარჯვენე გადახრასთან. აქტივმა დაავალა პარტიის ერევნის კომიტეტს, — ჩაატაროს ფართო განმარტებითი მუშაობა და პლენუმისა და კონფერენციის ყველა გადაწყვეტილების საფუძვლიანად დამუშავება (ადს).

სომხეთის კომკავშირის ყრილობა

ერევანი, 20 მაისი. სომხეთის კომკავშირის ყრილობის მესამე სხდომაზე მოსმენილ იქნა სომხეთის კომკავშირის ც. კ.-ის მდივნის ამხ. მეგრაბიანის საანგარიშო მოხსენება. შემდეგს სხდომაზე გაიმართა კამათი. ამხ. მეგრაბიანის მოხსენების გარშემო. ყრილობას მიესალმნენ ბაქოსა და თბილისის კომკავშირის ორგანიზაციების დელეგაციები (ადს).

საქ. კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის პრეზიდიუმისაგან

(პრეზიდიუმის დადგენილებიდან)

გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში მოთავსებული იყო წერილი: „Бандит Баграт и его брат“. ამ წერილში ავტორი აღნიშნავდა, ვითომც ბაგრატ ჟვანიამ ძალათი მოიტაცა ქალი, მან გაფლანგა 600 მანეთი სახაზინო ფული, გალახა საქართვ. ცაკის წევრი გაბედავა და ვითომცა მას მფარველობას უწევს მისივე ძმა ისაკი ჟვანია, ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის მდივანი.

ცენტრ. საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმმა განიხილა ეს წერილი და დაადგინა: ამხ. ისაკი ჟვანიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება აღიარებულ იქნას ცილისწამებად — მოხდეს ამხ. ისაკი ჟვანიას რეაბილიტაცია, ხოლო შენიშვნის ავტორი, რომელმაც პრესა პარტიულ ამხანაგთან პირადი ანგარიშების გასასწორებლად გამოიყენა, პარტიულ პასუხისგებაში იქნას მიცემული.

ცენტრ. საკონტროლო კომისია გაეცნო წერილის დედანს, აგრეთვე მოწმეთა ჩვენებას ამ საქმის შესახებ და დაადგინა: წერილის ავტორმა ამხ. ბეგლარ ბერიამ პრესა გამოიყენა არა საქმიანი კრიტიკისათვის, არამედ პირადი ანგარიშების გასასწორებლად, რაც პარტიული ამხანაგისათვის საკონტროლო კომისიას შეუწყნარებლად მიაჩნია.

პრეზიდიუმისა და პარტკოლეგიის გაერთიანებული სხდომა გაეცნო ამ საქმეს და შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

ამხ. ბეგლარ ბერიას საყვედური გამოეცხადოს პირადი ანგარიშების გასწორებისა და პასუხისმგებელი პარტიული ამხანაგის სახელის გატეხისათვის.

გაზაფხულის თესვა

ბრინჯის კულტურა

არსებული კულტურების გაუმჯობესების გარდა საჭიროა მიექცეს ყურადღება ისეთ ახალ კულტურების შემოღებას, რომელნიც ჰავის და ბუნებრივ - ისტორიული პირობებით ხელსაყრელია. ამნაირ მცენარეთა შორის აღსანიშნავია ბრინჯი, რომელიც თანდათან ვრცელდება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურიის იმ სოფლებში, რომელნიც მეზობლად აჭარისტანთან იმყოფებიან.

შედარებით სხვა პურეულ მცენარეებთან, ბრინჯს ის უპირატესობა აქვს, რომ იძლევა დიდ მოსავალს და უფრო ძვირადაც ფასობს; ამასთან ე. წ. ურწყავი ბრინჯის მოშენება არ იწვევს ცუდ შედეგებს.

ის ბრინჯი, რომელიც აზერბეიჯანში და ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში მოყავთ, ჭაობის ბრინჯია; იგი დათესვიდან მომკამდე წყალით არის დაფარული. ამის გამო ნიადაგი ჭაობდება და მოსახლეობა ჯანმრთელობის მხრივ მეტად აუტანელ მდგომარეობაში ვარდება.

არის მეორენაირი ბრინჯი, რომელსაც უხვი მორწყვა არ ესაჭიროება; ეს არის ტიბეტის, მთის ანუ მშრალი, ურწყავი ბრინჯი. ის ნესტიან ადგილებში ურწყავად მოდის ხმელ და მშრალ ადგილებში კი საჭიროა დროგამოშვებით მორწყვა, როგორც ფეტვის და სიმინდის.

ურწყავი ბრინჯის მოყვანა და მოვლა იმნაირია, როგორც ღომის, მხოლოდ ბრინჯი უფრო ნესტიან ადგილს თხოულობს. ამისათვის მისი კულტურა ადვილად გავრცელდება დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც ღომი მოყავთ.

ბრინჯისათვის ყველაზე უკეთესია ქვიშნარი, ქვექვიშნარი, სილა ნარევი წყლის პირა ჭალები (მერიები) და საკმაოდ ნესტიანი ადგილები; ყამირ მიწაზე ბრინჯს არ სთესენ; ჩვეულებრივ ის ითესება სიმინდის შემდეგ.

ბრინჯი, როგორც სხვა ბევრი ხორბლეული, იყრის ბუჩქებს (ბარტყობს); მაგრამ ყოველგან კი არა, ეს დამოკიდებულია— ნიადაგზე და დამუშავების პირობებზე, ნოყიერ მიწაზე ძლიერ ბარტყობს. მწირზე კი ნაკლებ.

ბრინჯისთვის მიწას ადრე გაზაფხულზე უნდა მოხვნა გუთნით (კავით კი ორ კვალად); მიწა ისე უნდა იყოს მოხნული და გაწმენდილი, როგორც საღომე ყანა. თესვის დროს აპრილიდან შუა მაისამდე. დათესვის შემდეგ გადაბრუნებული უნდა დაიფარცხოს ჩელტის ფარცხით ან რკინის ფარცხით, ერთ ჰექტარზე ითესება 6—8 ფუთი თესლი.

თუ კარგი ამინდია, ჯეჯილი ამოდის 5—7 დღის შემდეგ, როცა მცენარე 4, 5—9,0 სანტ. (1—2 ვერშ.) სიმაღლე შეიქნება, პირველად გამარგლენ (პირველი გათოხნა), ამ მუშაობით მცენარეს შეათხელებენ (შეამეჩხრებენ) ისე, რომ მცენარეებს შუა დარჩეს 13,5 სანტიმ. (3 ვერშოკი) მანძილი, და სარეველა ბალახსაც მოაცილიან. გამარგლიდან 3—4 კვირის შემდეგ, როცა მცენარე 18—22 სანტ. (4—5 ვერშ.) ოდენა გაიზრდება, გათოხნენ (მეორედ გათოხნა) და მიწასაც შემოაყრიან.

რადგან ბრინჯი ნესტიან ადგილებში ითესება, სადაც სარეველა ბალახები ძნელი მოსასპობია და მოჭრილი ბალახიც, თუ იმავე ადგილზე დარჩა, ადვილად იბამს ძირფესვებს და ცოცხლდება, ამისათვის ყოველ დათოხნის დროს ბრინჯის ნათესი უნდა დაიფარცხოს: მოჭრილი, დათოხნილი ბალახები იფოცხება გროვებად (ბონოდებათ) აქა-იქ, ან მას მიაფოცხვენ სრულებით; ერთი მოფოცხველი მუშა საკმარისია 8—10 მუშა მთოხნელზე.

ბრინჯი შემოდის აგვისტოს დამლევს და სექტემბრის თვეში იღებენ თავთავს; ჩალას კი სტოვებენ, ან ცალკე მკიან. ბრინჯის თავთავს დაყრიან მზეზე, კარგად გააშრობენ და ისე ინახავენ ბეღლებში.

ერთ ჰექტარზე მოდის 40—70 ფუთი ბრინჯი. ბრინჯის კანის გაცლისათვის ბრინჯის თავთავს გაფშვნიან (გალეწენ) კალოზე ან მიწურ დატკეპნილ ნიადაგზე (ჯოხით ან კეტით დაბეგვავენ), შემდეგ ჩაყრიან მარცვალს ქვის ჩამურში (ქვის დიდი როდინი) და ხელკავით (მოკაუჭებული ჯოხი) დაიწყებენ ბეგვას, სანამ კანს არ გააცლიან. შემდეგ ბრინჯს გაანიავებენ და წმინდა უქერცლო მარცვალი დარჩება. ბრინჯის კანის გაცლა ისევე ხდება, როგორც ღომის და ასლის პურის (ზანდური და მახა-პური რაჭა-ლეჩხუმში).

ღომის საცეხვად დასავლეთ საქართველოში, სადაც ღომის მოყვანას მისდევენ, ხელით საცეხველ ჩამურის მაგიერ, გაწყობილი აქვთ წყლის ჩამური, რომელიც მოძრაობაში მოყავს წყალს.

აზერბეიჯანში ბრინჯის საცეხვი ასეა მოწყობილი: დადგმულია მწკრივად რამოდენიმე ქვის როდინი თავისი ხის სუთებით (დილთაქვები), როდინში ყრიან გაფშვნილ ბრინჯს; სუთები მექანიკურად აიწევიან და დაეშვებიან ბრინჯიან როდინებში. სუთების აწევ-დაწევა ჩარხის საშუალებით ხდება, ჩარხი კი მოძრაობაში მოყავს წყალს.

ბრინჯის საცეხვი მანქანებიც არის, ღირს დაახლოვებით 100—200 მანეთი, იყიდება „ზაკსელმაშის“ საწყობში, თბილისში.

აგრ. ერ. ნაკაშიძე.

სას.—სამ. ინვენტარის გამოყენება

მიუხედავად დიდი მოთხოვნილებისა სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე და მანქანებზე, ამიერ-კავკასიის მრავალ რაიონში არ მოუხდენიათ არსებულ გამოსადეგ და გამოუსადეგარ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის აღრიცხვა და არ შეუმუშავებიათ მათი განაწილების, გამოყენების, დატვირთვის და რემონტის გეგმები.

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ თესვის კამპანიის ჩამტარებელი სამეულების უმრავლესობა დაკმაყოფილდა ტრაქტორების და ზოგიერთ რთულ მანქანების აღრიცხვით, რაც შეეხება მათ გამოყენებას და დატვირთვას, ამ მხრივ ისინი დაკმაყოფილდნენ მხოლოდ საერთო სადირექტივო მითითებებით. სარემონტო სახელოსნოები მოწყობილი იქნა დიდი დაგვიანებით, მათი რიცხვი მეტად უმნიშვნელოა კვალიფიციური მუშა-ხელით, განსაკუთრებით კი სათადარიგო ნაწილებით და მასალებით, ისინი საკმარისად არ არიან უზრუნველყოფილი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის მასალების მიხედვით, განჯაში გაგზავნილი იყო სარემონტო სახელოსნოს მთელი მოწყობილობა, რომელიც უყურადღებოთ იყო მიტოვებული და 27 დღე ყუთებში ეგდო. შემდეგ იგი გაგზავნილი იქნა ახთაგლის ამხანაგობის განკარგულებაში, მაგრამ იგი დადგმული არ იქნა მონტიორის უყოლობის გამო.

ხორბლის საწმენდ მანქანების გამოყენების შემოწმებამ გამოარკვია, რომ ადგილებზე არ სწარმოებდა ტრიერების აღრიცხვა (ტრიერების 20 პროც. აღურიცხავი აღმოჩნდა) და რომ კოოპერაციამ დაგვიანებით შემოიტანა ტრიერები. ხორბლის წმენდის გეგმის შედგენის დროს მხედველობაში მიღებული არ ყოფილა ტრიერების რაოდენობა, რის გამო გეგმის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა.

თბილისის საბჭოს სექციებში

საამხანაგო სასამართლო

გუშინ, თბ. აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა ადმინისტრატიულ - უფლებრივ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც ამხანაგურ სასამართლოების დაარსების შესახებ მოხსენება გააკეთა იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. შ. მათიკაშვილმა.

საამხანაგო სასამართლოები, — განაცხადა მან,— დაარსებული იქნება წარმოება-დაწესებულებაში. ეს სასამართლოები იქნება მარტივი და საქმეებს გაარჩევს ყოველგვარ ფორმალობის გარეშე.

სასამართლოები გაასამართლებენ ისეთებს, რომლებიც ამხანაგებს მიაყენებენ შეურაცხყოფას წერილობით, სიტყვით ან მოქმედებით, ჩაიდენენ უწესო საქციელს და საერთოდ განიხილავენ ისეთ საქმეებს, რომელთაც აქვთ ყოფა-ცხოვრებითი ხასიათი.

იგივე სასამართლოები გაასამართლებენ ისეთ მუშა-მოსამსახურეთაც, რომელიც ავიწროებს და უდიერათ ეპყრობა ცოლს, ან ლოთობს და სხვ.

ასეთ დამნაშავეთ სასამართლოს შეუძლია გამოუცხადოს შემდეგი სახის განაჩენი: 1) მისცეს გაფრთხილება, 2) გამოუცხადოს საჯარო გაკიცხვა სიტყვით ან წერილობით და 3) დააჯარიმოს არა უმეტეს 10 მანეთისა. ჯარიმა, თანახმად სასამართლოს დადგენილებისა, გადადებული იქნება ამა თუ იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციის სასარგებლოდ. სასამართლოს განაჩენი საბოლოოა. სასამართლოს მუშაობას მეთვალყურეობას გაუწევს პროკურატურა, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობას, ან უფლებათა გადამეტებას.

მომხსენებელმა შემდეგ განმარტა საამხანაგო სასამართლოს სტრუქტურა და ვრცლად გააშუქა მისი ფართო აღმზრდელობითი მნიშვნელობა. სასამართლოების სხდომები იწარმოებს არა სამუშაო დროს, საჯაროთ. პირველ ხანებში საცდელათ დაარსებული იქნება რამდენიმე სასამართლო.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემის შემდეგ გაიმართა კამათი.

კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ სასამართლოს უფლებების გაფართოებას სახალხო სასამართლოების შედარებით უმნიშვნელო საქმეებისაგან განტვირთვის მიზნით. აგრეთვე მოითხოვეს, რომ მუშა, რომელიც შემთხვევით ჩაიდენს ხულიგნურ ხასიათის მოქმედებას, არ იქნეს დაპატიმრებული, ხოლო მილიციამ ამის შესახებ აცნობოს სათანადო საამხანაგო სასამართლოს მსჯავრის დასადებათ. საერთოდ კამათში გამოსულები აღნიშნავდნენ საამხანაგო სასამართლოების შემოღების მიზანშეწონილებას და მის აღმზრდელობით მნიშვნელობას მშრომელთა ფართო მასის ჩამორჩენილ ფენების გათვითცნობიერების საქმეში.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ სხდომამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია.

სკოლების შენობების შეკეთება

განათლების მუშაკთა სახლში შესდგა განათლების სექციის სხდომა. სკოლების შენობათა მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ინჟ. ლოლაძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სკოლების უმრავლესობა მოთავსებულია მათთვის შეუფერებელ შენობებში. გარდა ამისა, შენობები საჭიროებენ კაპიტალურ შეკეთებას, რისთვისაც საჭირო იქნება დაახლოვებით 1 მილიონი მანეთი. ამასთან ჩატარებული იქნა ნაწილობრივი შეკეთება, რაზედაც დაიხარჯა 130.000 მანეთზე მეტი. წელს დაიხარჯება 100.000 მანეთამდე. ამ თანხით იწარმოებს მხოლოდ მიმდინარე და ნაწილობრივ კაპიტალური შეკეთებები.

დასასრულ სექციამ აირჩია სხვადასხვა კომისიები.

უღმერთოთა კავშირის თბილისის საქალაქო კონფერენცია

პირველი სხდომა

კვირას, 19 მაისს, საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა უღმერთოთა კავშირის თბილისის მეორე საქალაქო კონფერენცია, რომელსაც ესწრება 300-მდე დელეგატი.

ამხ. ბედიას სიტყვა

კონფერენცია უღმერთოთა საბჭოს სახელით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგემ ამხ. ბედიამ, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ პირველი კონფერენციის შემდეგ თბილისის უღმერთოთა კავშირი მნიშვნელოვნად გაიზარდა რიცხვობრივად და თვისობრივად და დღეს იგი ითვლება დიდ საზოგადოებრივ ორგანიზაციად. თბილისის უღმერთოთა კავშირს აქვს საგრძნობი მიღწევები იდეოლოგიურ და კერძოდ ანტირელიგიურ ფრონტზე ბრძოლის საქმეში, მაგრამ ამ მხრივ მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებით უღმერთოთა კავშირის წინაშე დასმულია მეტად რთული და სერიოზული ამოცანები, რომლებიც მან წარმატებით უნდა გადასჭრას.

პრეზიდიუმის არჩევა

ამხ. ბედიას შესავალი სიტყვის შემდეგ არჩეული იქნა კონფერენციის ხელმძღვანელი ორგანოები. საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად იქნენ არჩეულნი: ამხ. **სტალინი, იაროსლავსკი, პოკროვსკი, ფ. მახარაძე, ლუნაჩარსკი, ოლეშჩუკი, სემაშკო, დებორინი და დემიან ბედნი.**

საქმიან პრეზიდიუმში: ამხ. ბედია, ადამიანი, მიქაძე; ციხელაშვილი, იაკოვლევი, მდივანი, დოიჯაშვილი, არუთინოვი, ბელოზეროვი, ბარანენკო, ასკერი, ბუდილევი, სოსიანი, ქშონძერი, ტყეშელაშვილი, მირზოევი, ჯაფარიძე; ნასიბოვი; შლეია; ორლოვი, ბოლოტნიკოვი, ქსაიანი, სიმაკიძე. სამდივნოში: ამხ. ფურცელაძე, სანდლოვი, ასათიანი, დოლიძე და ორლოვი. სამანდატო კომისიაში: ბოგდანოვი, ხიკოლაევსკი, ლანგე, ტერტერაშვილი და სვინზონი. დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა ამხ. ადამიანის და მდივანის მოხსენება თბილისის უღმერთოთა საბჭოს მუშაობის და პერსპექტივების შესახებ.

უღმერთოთა თბილისის საბჭოს მუშაობა

(ამხ. მდივანის და ადამიანის მოხსენება)

მომხსენებლებმა აღნიშნეს, რომ სოციალისტური აღმშენებლობის ფართოდ განვითარების პირობებში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს აგრეთვე იდეოლოგიურ სფეროშიაც. ამიტომ იდეოლოგიურ და კერძოდ ანტირელიგიურ ფრონტზე ბრძოლის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ანტირელიგიური მუშაობა რომ კარგად ვაწარმოოთ, ამისათვის საფუძვლიანად უნდა შევისწავლოთ რელიგიური ორგანიზაციები. თბილისში და მის მაზრაში არის შემდეგი რელიგიური ორგანიზაციები: მართლმადიდებელთა, მუსლიმანთა, იუდეველთა, სომეხ-გრიგორიანთა, კათოლიკების და ლიუტერანების, სექტები: ბაპტისტების, დუხობორების, ადვენტისტების და სხვ.

1921 წელთან შედარებით საქართველოს ტერიტორიაზე ეკლესიებისა და მღვდელ-მსახურთა რიცხვი დღეს მნიშვნელოვნად შემცირებულია. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა რელიგიური კულტების წარმომადგენლები „ახალი“ ფორმებითა და მეთოდებით“ გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ და ზოგიერთ მათგანს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული საზღვარგარეთის რელიგიურ კულტებთან, რომლებისგანაც ისინი ფინანსიურ დახმარებას ღებულობენ. თბილისის უღმერთოთა საბჭომ პირველი კონფერენციის შემდეგ საგრძნობლად გააცხოველა მუშაობა, ამჟამად თბილისის უღმერთოთა კავშირი აერთიანებს 14.564 წევრს (პირველი კონფერენციის დროს კი,, ამ ერთი წლის წინედ, ითვლებოდა სამი ათასი წევრი); აქედან 4.365 პარტიის წევრია, 2.081 კომკავშირელი და 8.118 უპარტიო. მომავალში ჩვენი ამოცანა უნდა იყოს, რაც შეიძლება მეტად გავზარდოთ ჩვენი რიგები. უნდა ვეცადოთ, რომ უღმერთოთა კავშირში ჩავაბათ კომკავშირელთა მთელი 100 პროც.

უღმერთოთა კავშირის უჯრედები ადგილებზე ჯერ კიდევ არ გადასულან გეგმიან მუშაობაზე, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება. თბილისში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები ანტირელიგიურ ფრონტზე, სოფლად კი ბევრი არაფერია გაკეთებული. მთელს მაზრაში არსებობს მხოლოდ ექვსი უჯრედი. ამიტომ მთელი მუშაობის სიმძიმის ცენტრი უნდა გადავიტანოთ სოფლად.

ანტირელიგიური მუშაობა გავაჩაღოთ სკოლებშიაც.

წითელი არმიის ნაწილებში ანტირელიგიურ მუშაობას არ ექცეოდა ყურადღება, დღეს აქაც დავიწყეთ მუშაობა. ანტირელიგიურ მუშაობას აფერხებს ნივთიერი ხელმოკლეობა. პროფორგანიზაციებმა უნდა გაგვიწიონ მატერიალური დახმარება. ანტირელიგიური მუშაობა უნდა დაუკავშიროთ პარტიისა და ხელისუფლების წინაშე დასმულ ამოცანებს.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი.

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე დღის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი თბილისის უღმერთოთა კავშირის საბჭოს საანგარიშო - საპერსპექტივო მოხსენების ირგვლივ. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ თბილისის უღმერთოთა კავშირმა უნდა გააძლიეროს თავისი რიგები და შეაიარაღოს იგი სათანადო ცოდნით, რელიგიური ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად. უნდა ძირიან - ფესვიანად შეიცვალოს არსებული ანტირელიგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები, რადგან ისინი, უკვე ძოძველდა საზოგადოებაში მუშაობისათვის. უღმერთოთა უჯრედებმა უნდა აწარმოონ გეგმიანი მუშაობა ადგილებზე. სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მოეწყოს ანტირელიგიური კათედრა. უნდა გამოიცეს ანტირელიგიური კინო ფილმები, უნდა ფართოდ შუქდებოდეს პრესაში ანტირელიგიური მუშაობის საკითხები და სხ.

ყველა ორატორი ერთხმად მოითხოვდა, რომ სახელგამი შეუდგეს ანტირელიგიური ხასიათის ლიტერატურის გამოცემას, რაც ხელს შეუწყობს უღმერთოთა კავშირის მუშაობის გაცხოველებას.

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ, არჩეულ იქნა თბილ. უღმერთოთა კავშირის უღმერთოთა ხელმძღვანელი ორგანოები და დელეგატები უღმერთოთა კავშირის სრულიად საქართველოს ყრილობაზე დასასწრებლად.

უღმერთოთა თბილისის საბჭოში არჩეულ იქნა 91 წევრი და 13 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში 7 წევრი და 3 კანდიდატი, და უღმერთოთა კავშირის სრ. საქართველოს ყრილობაზე დასასწრებლად 80 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 30 დელ. სათათბირო ხმით.

ბავშვთა დემონსტრაცია თბილისში

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის პირველი დღე

ბავშთა მეცხრე საერთაშორისო კვირეულის პირველ დღეს გაიმართა თბილისის პიონერებისა და მოწაფეების დიდი დემონსტრაცია. შუადღის 4 საათიდან შესაკრებ პუნქტებზე უკვე თავს იყრიდნენ პიონერთა ახალ-ახალი რაზმები. ქალაქს მოეფინა დოლის ხმა და წინწილათა მკვეთრი წკრიალი. მთავარი ქუჩების გასწვრივ გაიშალა თბილისის ბავშების ჭრელი რიგები. ნიშნის მიღების მოლოდინში ბავშები თავს იქცევდნენ სიმღერით და ცეკვით.

კომკავშირის ც. კ.-ის შენობასთან აღმართული იყო ტრიბუნა, სადაც იდგნენ პიონერების, კომკავშირის, პარტიისა და პროფსაბჭოს წარმომადგენლები. 6 საათზე დაიწყო დემონსტრაცია, გამოჩნდა პიონერთა პირველი რაზმები.

ტრიბუნის წინ დემონსტრანტები დაბლა ხრიდნენ დროშებს და ესალმებოდნენ ტრიბუნას ლოზუნგით:

„მარად მზად ვართ სოციალისტურ მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად“!.

ლოზუნგებს, პლაკატებს ბოლო არ უჩანს. ბავშთა საერთაშორისო კვირეულის პირველ დღეს პიონერებმა ერთხმად აღთქმა დასდეს —უფრო მეტად გააძლიერონ კავშირი დასავლეთის პიონერებთან და დაეხმარონ მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ის პიონერი არ არის, ვინც ივიწყებს დასავლეთის პროლეტართა ბავშებს!“ — მსხვილი ასოებით სწერია ლენრაიონის დემონსტრანტების დიდ პლაკატზე.

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის პირველ დღეს 15 ათასზე მეტმა ბავშმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში. ქუჩები აფერადებული იყო პიონერთა წითელი ყელსახვევებით, ტრიბუნიდან მძლავრად ისმოდა მოწოდება პიონერებისადმი:

„მზად იყავით მუშათა საქმისათვის საბრძოლველად!“.

ტრიბუნაზე

ბავშთა საერთაშორისო კვირეულის პირველი დღე გადაიქცა მთელი თბილისის პიონერთა ორგანიზაციის შემოწმებად.

დემონსტრანტების რაზმები საღამომდე დადიოდნენ ქუჩებში, დაბინდებამდე გაისმოდა ორკესტრების ხმა, ჰაერს არღვევდა ხალისიანი სიტყვები:

„მუდამ მზად ვართ“!

ი. შ.



პიონერები დემონსტრაციაზე

ოთხშაბათს, 22 მაისს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება კომუჯრედების ყველა აგიტპროპ-ორგანიზატორების, აგიტპროპ კომისიების წევრები, ჯგუფური აგიტატორების, პარტორგანიზატორების, მუშათა კლუბების გამგეებისა და კულტკომისიების თავმჯდომარეების (კომუნისტების).

საერთო საქალაქო კრება

დღის წესრიგი: ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება პარტიის წმენდის შესახებ.

თბილისის კომიტეტის მდივანი: ასრიბეკოვი.

საყურადღებო საკითხები

საბინაო მშენებლობა რკინის გზაზე ფართოვდება

რკინის გზის ზოგიერთი მემუხრუჭის თავხედობას ბოლო არ ედება.—მთავარ კონდუქტორ რუსიშვილის ბრიგადის ერთმა წევრმა გაქანებულ მატარებლიდან გადმოაგდო უბილეთო მგზავრი ხარატიშვილი.—ხელი შეუწყოთ ქალაქის განაპირა უბნების გეგმიან მშენებლობას.

საქმე ჭიანურდება

(პირველი სტამბა)

პოლიგრაფიული მრეწველობის მუშებსა და ადმინისტრაციის შორის ძალიან ხშირია კონფლიქტები, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით პირველმა სტამბამ ისახელა თავი. თითქმის თვე არ გავა ისე, რომ პირველი სტამბის კონფლიქტი შრომის სასამართლოში არ ირჩეოდეს. უთანხმოების მთავარი მიზეზია ნორმისა და გადამუშავების საკითხი.

1927 წ. იანვრიდან სტამბებში შემოღებულია გამომუშავების ნორმები. ამის მიხედვით მუშას ეძლევა განსაზღვრული თვიური ხელფასი. ნორმაზე მეტი ან ნაკლები პროდუქციის დამუშავება იწვევს ხელფასის ზრდას და დაკლებას; იმის და მიხედვით, თუ რა ნაწილი დააკლდა ნორმას ან რამდენი გააკეთა ზედმეტად. მაგალითად, თუ დღიური ნორმა პროდუქციის 10 ერთეულს უდრის და დღიური ხელფასი 3 მანეთს, ეს იმას ნიშნავს, რომ მუშა, რომელიც დღეში ათის ნაცვლად 15 ერთეულს გააკეთებს (ერთეულის ფასად 30 კაპ. დაწესებული), მიიღებს არა 3 მანეთს, არამედ 4 მანეთსა და 50 კაპ.; ამნაირადვე, მუშა, რომელიც ათის ნაცვლად 5-თ ერთეულს გააკეთებს, მიიღებს მანეთნახევარს და არა 3 მანეთს.

მუშების მიერ გამოყოფილ კომისიამ გამოარკვია, რომ არც ერთ სტამბაში მუშები გადამუშავების ჯილდოს იმ წესით არ ღებულობენ, როგორც პირველ სტამბაში. სამანქანო განყოფილებაში მანქანაზე მუშაობს 18 კაცი. ყველა მანქანებისათვის დღიური ნორმად დაწესებულია 66,500 ანაბეჭდი, ხოლო ყველა მუშების დღიური ხელფასი უდრის 52 მან. და 90 კაპ. ე. ი. ყოველი ათასი ანაბეჭდზე მოდის 80 კაპ. აქედან აშკარაა, რომ ნორმაზე ზევით დაბეჭდილი ყოველ ათას ანაბეჭდზე სამანქანო განყოფილებას უნდა მისცემოდა 80 კაპ. მაგრამ რატომღაც, სტამბის ადმინისტრაცია სხვანაირად ანგარიშობდა. მათი აზრით თორმეტი მანქანა ნორმით დღეში ამუშავებს 66,500 ანაბეჭდს. თვითეულ მანქანაზე დღეში საშუალოდ მოდის 5.542 ანაბეჭდი. საათში 693 ანაბეჭდი, რომელიც ნორმაზე ზევით იქნება დაბეჭდილი, სამანქანო განყოფილებას უნდა მიეცეს 38 კაპ. აქ ანაბეჭდები და ხელფასი საათებზეა გადაყვანილი; ეს შეცდომაა, რომელიც პირველი სტამბის ადმინისტრაციამ და პოლიგრაფტრესტმა როგორც იქნა შეიგნეს და 1928 წლის ნოემბრიდან გადამუშავების შეფასება უკვე ნორმალურად სწარმოებს, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა იმ დანაკლისის ანაზღაურება, რომელიც ამ შეცდომამ პირველი სტამბის სამანქანო განყოფილების მუშებს მიაყენა და რომელიც 1.349 მ. 96 კ. უდრის. ეს საკითხი დაისვა შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიაში, კავშირის ცენტრალურ გამგეობაში, და ბოლოს შრომის სასამართლოშიც. ყველგან ერთხმად აღიარეს, რომ მუშებს უნდა აუნაზღაურდეს დაკლებული ხელფასი. ამის საწინააღმდეგოთ თვით ტრესტის მმართველიც ამხ. ხარაზიანი ვერაფერს ამბობდა და მას გადაწყვეტილი ჰქონდა ხვედრი ფულის მიცემა მუშებისათვის; მაგრამ მიუხედავად, იმისა, რომ სასამართლოს განაჩენი იყო საბოლოო და მისი გასაჩივრება არ შეიძლებოდა, რაღაცა გაუგებრობით, ეს უდავო საქმე შრომის პროკურორ — ამიროვს სადაოთ მიუჩნევია, უზენაეს სასამართლოსათვის თავისი პროტესტი წარუდგენია და შრომის სასამართლოს საბოლოო განაჩენი გაუქმებულად გამოუცხადებია.

გასაჩივრების საწინააღმდეგო არავისა აქვს, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ისედაც გაჭიანურებული საქმეს შრომის პროკურორი ტყუილ - უბრალოდ აჭიანურებს.

სტამბელი.

რკინისგზელ მკლავაძეების მსხვერპლი

ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერს, ძირულის შესავალ ისრებთან ხარაგოულის მხარეს, ლიანდაგის დარაჯმა ქ. გვეტაძემ ლიანდაგზე აღმოაჩინა 16—17 წლის ახალგაზრდა გვამი, რომელიც აღმოჩნდა სოფ. სიმონეთის მცხოვრები (შორაპნის მაზრა) მეშვიდე ჯგუფის მოწაფე ახალგაზრდა კომკავშირელი **ვარლამ ზარნაძე.** მას აღმოაჩნდა სახალხო მატარებლის № 12 სამგზავრო ბილეთი, რაც მოწმობს იმას, რომ იგი მიემგზავრებოდა თბილისიდან ზესტაფონში. ზარნაძეს გვამს მარცხენა მხრას თავზე ყელში დანით მიყენებული ჰქონდა ღრმა ჭრილობა და, რომ მკვლელს ბოროტმოქმედების კვალი დაეფარა, გვამი ლიანდაგზე გადმოუგდია. გვამი მატარებელს არ გადაუჭრია და არც დანით მიყენებული ჭრილობა დაუფარავს.

სად იყო ვაგონის გამყოლი. ნუ თუ ვერ შეამჩნია ლიანდაგზე ადამიანის გვამი, მით, უმეტეს, რომ მატარებელი სადგურს უახლოვდება და გამყოლები კარებში ჩერდებიან?

არა ნაკლებ ბოროტმოქმედებას ჰქონდა ადგილი 14 მარტს დილის 10—11 საათზე. ხაშურიდან ზესტაფონის მიმართულებით მოდიოდა საგზო მატარებელი, რომელსაც მთავარ კონდუქტორ **რუსიშვილის** ბრიგადა ემსახურებოდა. როდესაც მატარებელი ხარაგოულიდან დაიძრა, ერთ - ერთ მუხრუჭზე ასულიყო სოფ. ლაშეს მცხოვრები 17—18 წლის ახალგაზრდა **კოწია სპირიდონისძე ხარატიშვილი,** რომელიც შენიშნა შემადგენლობის ბოლოდან მეორე მემუხრუჭემ და იმავე მუხრუჭზე შეუხტა.

ასვლისთანავე მემუხრუჭემ მოხადა ქუდი ხარატიშვილს და გადუგდო, მაგრამ რადგან მატარებელი ჩქარა მიდიოდა, ხარატიშვილმა გადახტომა ვერ გაბედა. ასეთმა გაუბედაობამ გამხეცა მემუხრუჭე, სტაცა ხარატიშვილს ქოჩორში ხელი, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაუწყო მუშტის გვერდებში ცემა. ბოლოს მხეცმა მემუხრუჭემ 186 კილომეტრში ცოცხალ - მკვდარი ხარატიშვილი გადააგდო მატარებლიდან. ნაცემი და დამსხვრეული ხარატიშვილი ლოგინში ჩავარდა და 10 დღის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 24 მარტს, სიცოცხლეს გამოესალმა.

აი სანამდე მიდის ზოგ მკლავაძეთა სისხლის მსმელობა. დამნაშავის აღმოჩენა არც ისე ძნელია **რუსიშვილის** ბრიგადაში. უეჭველია მისმა ამხანაგებმა ყველამ იცის ეს საზიზღარი ფაქტი, მაგრამ დღემდე მას ხელს აფარებენ.

ბოროტმოქმედი სასტიკად უნდა დაისაჯოს. ეს აღუკვეცავს ვარჯიშობის მადას ზოგიერთ მკლავაძეებს.

მეთვალყურე.

საბინაო მშენებლობა რკ. გზებზე

რკინის გზის მუშათა საბინაო კოოპერაცია თანდათან ფართოვდება. როგორც გამოირკვა, ამას წინად აღნიშნულ კოოპერაციის მეპაიეთა საანგარიშო კრებაზე, ამხანაგობას საკმაოდ ბევრი მიღწევები აქვს; გადიდებულია კოოპერატივის წევრთა რიცხვი, გაუმჯობესებულია მისი ნივთიერი მდგომარეობა და სათანადო დონეზედ არის დაყენებული ახალი ბინების მშენებლობის საქმე.

ამხანაგობა აერთიანებს 220 აქტიურ წევრს. საპაიო კაპიტალის სიდიდით, აღნიშნულ კოოპერატივს ამიერ-კავკასიაში პირველი ადგილი უჭირავს. მისი ძირითადი თანხა უდრის 83238 მანეთს. აქედან 322.145 მანეთი და 60 კაპ. ქონებაშია დაბანდებული.

დღემდე ამხანაგობის მიერ აშენებულია 33 ბინა. ამჟამად შენდება და ახლო მომავალში დამთავრდება კიდევ 21 ბინა. ბინები შენდება 3 და 2 ოთახიანები. თითქმის ყველა ბინაში მოწყობილია აბაზანები, სამზარეულო, მუშის დერეფანი და სხვ. ბინების საერთო სივრცე აღწევს 100 კვ. მეტრამდე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საშუალოდ 1 კუბ. მეტრის ღირებულება არ აღემატება 17 მანეთს.

კოოპერაციის გამგეობის მუშაობის გასაცხოველებლად კრებამ მიიღო მრავალი საგულისხმო პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლების განხორციელებაც უფრო გააფართოებს საბინაო კოოპერაციას და გააუმჯობესებს ბინათმშენებლობის საქმეს. ამ ღონისძიებების თანახმად მომავალ საამშენებლო სეზონის განმავლობაში, მუშათა უბნებში უნდა აიგოს 28 ახალი ბინა. კრებამ დაადგინა, რათა ამხანაგობას, რომელსაც წინად ერქვა ტროცკის სახელი, დაერქვას „რკინის გზელი“.

დასასრულ კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო გამგეობის მუშაობა და აირჩია ახალი გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: შ. რაზმაძე, პ. ბურიკოვი, გრ. ელენტი, გრ. ბაკურაა, არ. კოჩარიანი, ჯოიეჯო; მარჯიძე და ვლ. ქუთათელაძე. სარევიზიო კომისიაში—ვას. მარგიშვილი, თ. სუხიშვილი და პარ. ლეჟავა.

ი. კორძაია.

თანამშრომელს აბუჩად იგდებენ

თბილისის რკინის გზის საავადმყოფოს რენტგენოლოგიური განყოფილების უფროსად მსახურობს ექიმი **სერგო ოდიშარია.** გასულ შემოდგომაზე აღნიშნულ განყოფილებაში მიიღეს ვინმე გერმანელი ქალი, რომელიც შემდეგ მოიხსნა სამსახურიდან, როგორც უკანონოდ მიღებული. ექ. ოდიშარიას კი სურდა ეს ქალი მასთან ყოფილიყო სამსახურში. სამსახურიდან მოხსნილი გერმანელი ქალის მაგიერ იმავე ადგილზე შრომის ბირჟამ გაგზავნა ღარიბი ქალი **ვალენტინა დვალი.**

ექ. ოდიშარია თავიდანვე ცივად შეხვდა დვალის ქალს და ბევრჯერ მოინდომა მისი თავიდან მოცილება, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა მიმართა ასეთ ხერხს: აქვე მსახურობს ახალგაზრდა ყმაწვილი **კოლა კენჭიაშვილი,** რომელიც პირადად ექიმსაც ემსახურება კერძო საქმეებზე. სამაგიეროდ ექიმი სამსახურში მას დიდ მფარველობას უწევს. შეუჩნდა კენჭიაშვილი დვალის ქალს. თავის საქმეს და მის საქმეს ორივეს მას აკეთებიებს, აბეზღებს ყველასთან, ვისთანაც კი შეიძლებს, ისე უწყობს საქმეს, რომ ყოველთვის დამნაშავედ დვალის ქალი გამოიყვანოს და სხვ. კენჭიაშვილის ასეთი უმსგავსო საქციელის გამო დვალის ქალი ხშირად მიმართავს ოდიშარიასაც კი, მაგრამ უშედეგოდ. საერთოდ კენჭიაშვილი მეტად გათამამებულია. მას სურს ამ გზით იძულებული გახადოს დვალის ქალი თვითონ წავიდეს სამსახურიდან.

დევნილმა ქალმა დახმარებისთვის ადგილკომსაც მიმართა. ადგილკომმა გამოყო კომისია, რომელმაც გამოიტანა დასკვნა, რომ ექ. ოდიშარიას მხრივ ადგილი აქვს შურისძიების ფაქტს დვალის ქალისადმი; ამის შესახებ დადგენილება ექ. ოდიშარიას გადაეგზავნა. ოდიშარია და კენჭიაშვილი ცოტა ხნით დაწყნარდნენ, მაგრამ შემდეგ კენჭიაშვილი უფრო გათავხედდა. ერთხელ სამსახურის დამთავრების წინ დვალის ქალს საპირფარეშოში კარები ჩაუკეტა და საშუალებას არ აძლევდა, რომ სახლში წასულიყო. შემთხვევით გამვლელმა ექ. **ნემსაძემ** კენჭიაშვილი იძულებული გახადა კარები გაეღო.

საჭიროა სათანადო ორგანიზაცია გამოეხმაუროს პატარა კაცუნიების საქციელს.

დ. ლ—ძე.

დღეს, საღამოს 6 საათზე ჩვენი რედაქციის ბინაზე (კამოს ქ. № 68) შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. ყველა მუშკორის დასწრება აუცილებელია.

სტუდენტების მატერიალური მდგომარეობა

უმაღლესი სასწავლებლის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობით შევსების საკითხი მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე. ცოდნის შეძენით მოწყურებული ახალგაზრდობის მასები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უმაღლეს სასწავლებელთა კედლების გარეშე რჩებოდა, 1921 წლის შემდეგ მოაწყდა უნივერსიტეტებს. სტუდენტთა პროლეტარული ფენები შეუჩერებლივ იზრდება. პროლეტარული ელემენტების გავლენის ზრდის ეს პროცესი დღესაც გრძელდება 1927-28 წელში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა:

სტუდენტთა საერთო რაოდენობა ყველა უმაღლეს სასწავლებლებში 1927-28 წელს უდრიდა 12.982 კაცს. აქედან მუშები და მუშის შვილები იყო 2.902 კაცი, გლეხები და გლეხის შვილები—3179 კ., მოსამსახურეები და მისი შვილები—4.095 კ., ხელოსნები და მათი შვილები—2.806 კაცი.

ეს ციფრები ამტკიცებენ, იმ ძირითად დებულებას, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტთა შემადგენლობის მიხედვით, უმთავრესად მშრომელ ელემენტების სასწავლებლებს წარმოადგენენ. საჭიროა ეს პროცესი შემდეგშიაც გაგრძელდეს.

ასეთივე სურათს იძლევა პარტიის და კომკავშირის კადრების ზრდა უმაღლეს სასწავლებლებში. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე დადგა საკითხი ისეთი კომუნისტ მეცნიერულ ძალების მომზადების აუცილებლობის შესახებ, რომლებიც მტკიცედ გაატარებენ არა მარტო პარტიის პოლიტიკურ ხაზს, არამედ, დადგებიან რა მსოფლიო მეცნიერების და ტექნიკის დონეზე, შესძლებენ აქტიურ მონაწილეობის მიღებას სოციალისტურ მშენებლობაში. სპეციალისტი საზოგადოებრივი მუშაკის აღზრდა უმაღლესი სასწავლებლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, პარტიამ შესძლო უმაღლეს სასწავლებლებში პარტიისა და კომკავშირის მნიშვნელოვანი ნაწილის გაგზავნა. შვიდ-რვა წლის წინად პარტიისა და კომკავშირის წევრები უნივერსიტეტში თითებზე ჩამოსათვლელი იყო, ეხლა ეს უკანასკნელნი უმაღლეს სასწავლებლებში საგრძნობ რაოდენობას წარმოადგენენ. ამას ადასტურებს შემდეგი ციფრები:

1927-28 აკადემიურ წელში საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებლებში პარტიის წევრ სტუდენტთა და კანდიდატთა რიცხვი უდრიდა 1.508 კაცს, კომკავშირის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი—2.103 კაცს, უპარტიოების—9.371 კ. ამრიგად, პარტიამ შესძლო განემტკიცებია თავისი ორგანიზაციული და იდეური გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე და მით გაამაგრა კომუნისტურ აღზრდის საქმის პოზიციები უნივერსიტეტში.

სტუდენტობის საერთო რიცხვის ზრდასთან ერთად, ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დაისვა სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფის საკითხი. სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფა სამ მთავარ მომენტზე ეყრდნობა. კვების გაუმჯობესება, სტუდენტთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი ბინით და სახელმძღვანელოების მიწოდების მოწესრიგება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებით უნივერსიტეტის ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარა.

უნივერსიტეტის არსებობის პირველ წლებში თითქმის არც ერთი სტიპენდია არ ყოფილა. ეს მდგომარეობა გრძელდებოდა 1921 წლამდე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს მდგომარეობა არსებითად იცვლება. პროლეტარულ სტუდენტობის უზრუნველყოფა საერთო სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა.

ოფიციალური ცნობების მიხედვით სტიპენდიები შემდეგნაირადაა განაწილებული: სახელმწიფო უნივერსიტეტში 7.174 კაციდან სტიპენდიას ღებულობს 753 კაცი, სახელმწ. პოლიტექნ. ინსტიტუტში 3.440 კაციდან—385 კაცი, ქართულ მუშფაკში 785 კაციდან,—416 კ; რუსულ და სომხურ მუშფაკში 526 კაციდან—176 კ. და სხვ.

ჯერჯერობით სტიპენდიებით უზრუნველყოფამ მიაღწია მხოლოდ 4,5%, იმ დროს, როდესაც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში ეს პროცენტი გაცილებით მეტია. ასე მაგალითად, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიებით უზრუნველყოფა უდრის 43,2%, ბელორუსიაში 39% და უკრაინაში 45%. სტიპენდიებით უზრუნველყოფის საკითხი გადაუდებელ ამოცანად სდგას.

როგორი მდგომარეობაა სტუდენთა ბინებით უზრუნველყოფის მხრივ? ამის სურათს შემდეგი ციფრები იძლევა: 1927-28 წელში საერთო საცხოვრებელში მყოფ სტუდენტთა რიცხვი უდრიდა 262 კ; 1928-29 წ. კი—906 კ.

სტუდენტობის დიდ უმრავლესობას ჯერ კიდევ არა აქვს მეცადინეობისათვის გამოსადეგი ბინა.

საერთო საცხოვრებლებში, ცალკე ოთახებში მოთავსებულ ჯგუფების რიცხვი ასეთია: 134 ოთახიდან თვითეულ ოთახში ცხოვრობს 3-5 კაცამდე, 43 ოთ. 5-10 კაცამდე, 8 ოთ. 10-20 კაც. და ორი ოთ. 20 კაცზე ზევით. ეს მდგომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ ახალი საერთო საცხოვრებლების აშენება გადაუდებელ ამოცანად სდგას. სტუდენტთა კოლონიის შექმნის საკითხი სავსებით მომწიფებულია, ის უნდა განხორციელდეს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს.

როგორ არის დაყენებული სტუდენტთა კვების საქმე? უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არაა. სტიპენდიის საერთო სიდიდე 25 მანეთს არ აღემატება. სტუდენტი იძულებულია ყველა თავისი არსებითი მოთხოვნილება აღნიშნულ თანხით დაიკმაყოფილოს. კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის სტუდენტს თითქმის არაფერი რჩება. ამ პირობებში სტუდენტთა იაფფასიანი კვების ორგანიზაციის საქმე პროლეტსტუდის ცენტრალურ ორგანიზაციების მთავარ ყურადღების საგანს წარმოადგენს. გასულ წელთან შედარებით უფასო სადილებზე დახარჯული თანხა გაიზარდა თითქმის 300 %. მაგრამ თუ სტუდენტთა საერთო რიცხვს ავიღებთ, რომელთაც მცირე ხელფასი აქვთ—ან რომლებსაც არ გააჩნიათ არსებობის რაიმე მუდმივი წყარო, მაშინ უფასო სადილებით უზრუნველყოფის პროცენტი მეტად ნაკლები იქნება. ის არ აღემატება 6,5%. ამრიგად ეს საკითხიც ერთ-ერთ გადაუდებელ საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს.

როგორც უკვე ვთქვით, ყველა ამ საკითხების გადაწყვეტაში აქტიური დახმარება უნდა გაგვიწიოს საბჭოთა საზოგადოებრივობამ. ჩვენმა სამეურნეო, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციებმა. მხოლოდ საერთო ძალებით შევსძლებთ ჩვენ სტუდენტობის რამდენადმე მაინც ნორმალურ მატერიალურ პირობებში ჩაყენებას. ამას მოითხოვს არა მარტო პროლეტარულ სტუდენტობის, არამედ მთელი ჩვენი აღმშენებლობის ინტერესები.

ბეჟენავა.

რა ხდება ადგილებზე

მინდვრად მუშაობას გვალვა აბრკოლებს

ოზურგეთი, 19 მაისი. გაზაფხულის სამუშაოებს მინდვრად გვალვა აბრკოლებს. დღემდე მთელი სათესი სივრცის მხოლოდ 20 პროცენტია დათესილი. გლეხები მზად არიან თესვისათვის, მაგრამ წვიმას უცდიან. (ადს).

მეცადინეობის გაგრძელება სკოლებში

ახალქალაქი, 19 მაისი. შრომის ნაყოფიერების ასაწევად, პედაგოგიური საბჭოების დადგენილებით, ქალაქის ყველა სკოლაში მეცადინეობა გაგრძელდება: ოთხწლედებში 5 ივნისამდე, შვიდწლედებში —15 ივნისამდე და ცხრაწლედებში 20 ივნისამდე (ადს).

მიწადმომწყობი კომისიების მუშაობა

ახალქალაქი, 19 მაისი. მაზრაში ჩამოვიდა მიწადმომწყობი კომისია, რომელშიაც 15 კაცი შედის. ამჟამად კომისიის ყველა წევრი სოფელში მუშაობს.

მიმდინარე წელს დასრულდება მიწადმოწყობის სამუშაოები 16 სოფელში, პირველ რიგში იქ, სადაც კოლმეურნეობებია.

კომისიის წევრებმა სოფლებში გამგზავრებამდე მოაწყვეს თათბირი, რომელშიაც აგრონომებმაც მიიღეს მონაწილეობა. თათბირზე დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ სამიწადმოწყობო მუშაობის დროს დამყარდება უფრო მჭიდრო კავშირი და თანამშრომლობა. მიწადმომწყობთა და აგრონომებთა შორის (ადს).

სამხრეთ - ოსეთის პროფკავშირების მე-8 ყრილობა

ცხინვალი, 19 მაისი. დამთავრდა სამხრეთ- ოსეთის პროფკავშირთა მე-8 ყრილობა. ყრილობაზე მონაწილეობას იღებდა 75 დელეგატი.

ყრილობამ აირჩია პროფსაბჭოს ახალი შემადგენლობა და დელეგატები სრ. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე. (ადს).

ტრესტის ორგანიზაცია

ცხინვალი, 19 მაისი. სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა ერთ ტრესტად გააერთიანა ოლქის უდიდესი საბჭოთა მეურნეობანი. ტრესტში შევიდნენ ცხინვალის საბჭოთა მეურნეობა, ახალგორის საბჭოთა მეურნეობა და მიწათმოქმედების ალპიური სარძეო ფერმა. ფერმის საზამთრო სადგომი 100 სული მეწველი ძროხისთვის ცხინვალში იქნება აგებული. (ადს)

გადარჩევის კამპანია

ცხინვალი, 19 მაისი. დაიწყო სამხრეთ-ოსეთის კოოპერატიული ორგანიზაციების ქვედა ქსელის გადარჩევის კამპანია. კამპანიის ლოზუნგია კოოპერაციაში სოფლის მოჯამაგირეებისა და ღარიბი გლეხების ჩაბმა და კოოპერატიული მშენებლობის საქმეში გლეხთა მასების აქტიობის გაძლიერება. (ადს)

ხილის ექსპორტი

ცხინვალი, 19 მაისი. მოსკოვის კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა სამხრეთ - ოსეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის კავშირისაგან შეისყიდეს მიმდინარე წლის ვაშლის მოსავალი, სულ 1.146 ტონა. (ადს).

თბილისის მაზრის თემ-აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

18 მაისს თბ. აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა თბ. მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 38 თემის წარმომადგენელი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონისა და ასარიცხავ ობიექტების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა ამხ. მეხმა.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო ახალი კანონის მნიშვნელობას და იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა მიიღონ ადგილებმა გადასახადის სწორად გასაწერად და თავის დროზე ასაკრეფად. მომხსენებელმა დამსწრეთ გააცნო გასულ წელს დაშვებული შეცდომები და მოუწოდა მათ მტკიცედ გაატარონ პარტიისა და ხელისუფლების ხაზი კანონის განხორციელების დროს. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები მოითხოვდნენ სათანადო ხელმძღვანელობის გაწევას გადასახადის გაწერის საქმეში და ტექნიკური დახმარების გაძლიერებას.

შემდეგ მასიური მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნუცუბიძემ. თათბირმა აგრეთვე მოისმინა მოხსენებები თვითდაბეგვრისა და სახ. დაზღვევის შესახებ, რის შემდეგ მიღებული იქნა სათანადო რეზოლუციები.

წითელ ბანაკში

ცვალებად წითელარმიელთა სამთვიანი შეკრება

ტერდივიზია შეკრებას ატარებს საკუთარ ბანაკში

(საუბარი მე-2-ე ქართ. მსრ. დივიზიის მეთაურთან ამხ. გიორგაძესთან)

20 მაისიდან — განაცხადა ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზიის მეთაურმა ამხ. გიორგაძემ,—დაიწყო 1906 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ-არმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება.

ამ შეკრებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა წითელი არმიის და კერძოდ ჩვენი ტერიტორიალური დივიზიის მომზადებისათვის, ვინაიდან იგი წარმოადგენს პირველ საფეხურის ახალწვეულთა სამხედრო სწავლების დარგში.



წითელი არმიელები ამზადებენ კარავებს

სამთვიან შეკრებას ტერიტორიალური დივიზია წრეულს პირველად ატარებს თავის საკუთარ საზაფხულო ბანაკში.

ბანაკის მოწყობა ჯერჯერობით არ არის მთლიანად დამთავრებული, რადგან ვერ მოვასწარით მოკლე ხანში ყველა სამუშაოების შესრულება. მაგრამ, რაც მთავარია, დავამთავრეთ: წყალსადენის გაყვანა ბანაკად, ამ დღეებში დივიზიის მიერ მოწყობილი წყალსადენი მიაწოდებს წყალს ბანაკს.

ერთი კვირის შემდეგ ზაჰესი ბანაკს მიაწოდებს ელექტრო-ენერგიას.

ბანაკის მთელ ტერიტორიაზე წითელი



მეთაურთა ერთ-ერთი სასადილო

არმიელების მიერ დარგულია 3.500 ხე.

დასრულებულია ბანაკის მთელი მიდამოს დაგეგმვა. ყოველ ლეგიონში, ათასეულს და ასეულს მიჩენილი აქვს თავისი განსაკუთრებული ადგილი.

აგებულია სასადილოები და სამზარეულოები მეთაურთა შემადგენლობისათვის.

სასადილოები და სამზარეულოები წითელი არმიელებისთვის მზად იქნება ერთი კვირის შემდეგ. ჯერჯერობით წითელარმიელთა სადილი და ვახშამი დამზადდება საველე სამზარეულოებში.

ბანაკად მოწყობი 300 პოლიციელისაგან
ფურნეები. რეკა გლეხები და დააპა
ჩქარი ტემპით მიმართმრებულებს ხელ-ფე
შეკეთება და ახალი დეს და დროგობიჩში გა
დივიზიის ძალებით გლეხებმა პოლიციის სა
დიდი ხიდი ხევზე, რ პირ მოაწყვეს დემონსტ
ნ დაპატიმრებულთა გან
ლიციამ სროლა ასტეხა.
ი დაიჭრა. საშიშარი მდგო
ეთვე რავის მაზრაში, სა
მამულში მუშებმა გაფიც
ვიცულები შტრეიკბრეხე
მუშაოზე და მოითხოვენ
ტეტების ცნობას, რო
რაიონიდან იუწყებიან, ად
ლეების ტყეებში რამდენ
არი — ფიქრობენ, რომ
ნაკს ჰქვალის მიდამო რახ უკიდებენ ცეცხლს.
ზაფხულის განმავ
ბით იქნება მოწყობი
უკვე დაწყებულია
თაურთა და მათი ო
ლში უკვე მზად იქ
თი სახლი.
იმ გარემოებას, —
ძემ,— რომ ბანაკი იმ
ახლო, ექნება უდ
თბილისის მშრომელთა
ქმისათვის.
2 ივნისს, ბანაკის რ
იქნება ჯარის მეცადი

ბირის ცნობას

საწინააღმდეგო არაფერი
სხვა პარტიებს.
ალთან ბრძოლის ლო
ვიამ ბენეშ გადასცა მე
ც შეიცავს მკაცრს პრო
ირის ცნობის გეგმის წი

ევოლუციონერი
ჟანდარმებმა

წინად დანციგიდან სა
სვლელად ლატვიაში
ელ რევოლუციონერს,
ს მთავრობა უკვე დი
ნციგის პოლიციამ აც
ოციას, ხოლო ამ უკა
ოვ დააპატიმრა რევო
ც სხვა ქვეყნის პას
პატიმრებული ერთხანს
ზე: „ჯარების სასწრაფო 29 აპრილს იგი გაგ
ნარე მტკვარზე“. მეცადი მეცადიეში და გადასცეს პო
ბიან თბილისის მუშებ რომელმაც, ზოგიერთი
იქნება ბანაკის რეალურა მებით მოჰკლა იგი.
ლისის მშრომელთა ადმინისტრატიული ხელი
წითელი არმიის ნაწილ ემიგრანტებს ართმევს
ბის საქმეში. უფლებას, არამედ
ვა სახელმწიფოებისა
ალიტიკური მაძიებ
ელემენტარულ დე
შინაგან საქმეთა სა
ო განმარტება უნდა

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის ახალი ს

გადაწყდა 3 ახალი დიდი სარეცხი ქარხნის აგება ჭიათურაში. მათი აგების შემდეგ დაიხურება ამჟამად მომქმედი 14 პატარა სარეცხი ქარხანა. ახალი ქარხნების პროექტები შეკვეთილი აქვთ უცხოეთის განთქმულ ფირმებს. ამ ქარხნების აგების დამთავრება განზრახულია 1930 — 31 წ.

გარდა ამისა, გაყვანილ
მოკიდებული 7 კილომეტრ
ხეობაში. ამ გზით სარეცხაოებიდან და ...ნებიდან მადანს გადაიტანენ რკინის გზამდე. ჩამოკიდებული გზის გაყვანას დასჭირდება 7—8 თვე, მის მოწყობილობას უმთავრესად დაამზადებენ საბჭოთა ქარხნები, ნაწილი კი გამოწერილი იქნება საზღვარგარეთიდან. ამჟამად ქარხნებიდან და სარეცხაოებიდან მადანს ეზიდებიან რკინისგზაზე პრიმიტიულად — ურმებით.

ტრესტი აგებს აგრეთვე ფერომარგანეცის ქარხანას ჭიათურაში. წელიწადში ქარხანა გამოუშვებს 50.000 ტონა ფერომარგანეცს. ფერომარგანეცის ქარხნის პროექტი ტრესტმა შეუკვეთა სიმენსის ცნობილ გერმანულ ფირმას.

მომავალ წელს ტრესტი ფოთში შეუდგება მექანიკური დამტვირთავის აგებას. იგი წლიურად დატვირთავს საზღვარგარეთის გემებზე 1.600.000 ტონა შავქვას. მტვირთავის პროექტი უკვე შედგენილია. მისი მუშაობა თვალსაჩინოდ გააიაფებს შავი ქვის დატვირთვას. ორი წლის განმავლობაში მტვირთავი აინაზღაურებს მის ასაგებად გაწეულ ხარჯებს. (ადს).

58 ვაგონი ფართალი ამიერ-კავკასიისათვის

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამიერ-კავკასიისათვის გამოყოფილია 58 ვაგონი ფართალი (ბამბეული). ამ რაოდენობიდან 8,5 ვაგონი გადაეცემა სამრეწველო რაიონებს; 6,5 ვაგონი მუშათა კოოპერატივების ცენტრალურ სექციას, 12 ვაგონი—ქალაქების კოოპერატივებს, 25 ვაგონი სოფლის კოოპერატივებს, 2 ვაგონი „ტექსტილტორგს“, 1 ვაგონი —სახ. ვაჭრობის ორგანიზაციებს და 3 ვაგონი—სატრანსპორტო კოოპერაციას.

ქალაქისა და სოფლის კოოპერატივებისათვის გამოყოფილი 37 ვაგონი ფართალი განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს —16 ვაგონი (ცეკავშირს—9,5 ვაგონი, აფხაზეთის კოოპ. კავშირს—1 ვაგონი, მუშკოოპს —3 ვაგონი, სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოებას—1,25 ვაგონი და სატრანსპ. კოოპერაციას—1,25 ვაგონი). აზერბეიჯანს—15,75 ვაგონი და სომხეთის ქალაქისა და სოფლის კოოპერატივებს—5,25 ვაგონი:

ფართალის მთელი რაოდენობა რესპუბლიკებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: საქართველოს მიეცემა 25,25 ვაგონი, აზერბეიჯანს—24,75 და სომხეთს—8 ვაგონი ფართალი:

საბჭოთა წიგნის დღესასწაული

დღეს, 21 მაისს, სრულდება რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის არსებობის ათი წლის თავი. ამ ხნის განმავლობაში სახელგამმა საბჭოთა კავშირის გამომცემლობათა შორის დაიკავა პირველი ადგილი. მის მიერ გამოშვებულია ორ მილიარდზე მეტი წიგნი. საბჭოთა წიგნის პროდუქცია ამჟამად უკვე ორჯერ აღემატება ძველი რუსეთის წიგნის პროდუქციას. სახელგამის მიერ დღემდე გამოცემული წიგნების 61 პროცენტს შეადგენენ სახელმძღვანელოები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და გლეხური შინაარსის წიგნები. სახელგამმა დიდი სამსახური გაუწია ქვეყნის თავდაცვის საქმის განმტკიცებას, რა მიზნითაც გამოსცა დიდ-ძალი ფურცლები, პლაკატები და ბროშიურები. 1919-20 წელს სახელგამმა გამოუშვა 623 გამოცემა, სულ 88,5 მილიონი ცალი.

1927 წელს სახელგამი ჩამოყალიბდა როგორც სახელმწიფო და პარტიული გამომცემლობის ძირითადი წარმოება. მის ხელმძღვანელობით მუშაობენ მთელი რიგი რედაქციები. სახელგამში პირველ ადგილი უკავია სახელმძღვანელოების რედაქციას. წელს სახელგამმა გამოუშვა 30 მილიონი ცალი სხვადასხვა სახელმძღვანელო. მეორე ადგილი უჭირავს მასიურ ლიტერატურას. შემდეგ მიდის სამეცნიერო ლიტერატურა. სახელგამი წლიურად უშვებს 50 მილიონზე მეტ სხვადასხვა სამეცნიერო წიგნს. წიგნები მარქსიზმის და ლენინიზმის შესახებ გამოცემულია დაახლოვებით 55 მილიონი ცალი. სახელგამი სათანადო ყურადღებას აქცევს მხატვრულ ლიტერატურასაც. სწარმოებს რუსეთის და მსოფლიოს კლასიკების, თანამედროვე დიდ ბელეტრისტების და საბჭოთა კავშირის ხალხების შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გამოცემა.

საბავშო ლიტერატურაში მთავარი ყურადღება ექცევა მუშებისა და გლეხების ბავშების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. სახელგამი დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე კალენდრების, პლაკატების, იაფფასიანი სურათების და ჟურნალების გამოცემას.

საზამთრო დასასვენებელი სახლები

საქ. სოცდაზღვევის რესპუბლიკანური კომიტეტი ამ ჟამად ამუშავებს საკითხს საზამთრო დასასვენებელი სახლების მოწყობის შესახებ, მოსკოვისა და ლენინგრადის მაგალითის მიხედვით.

საზამთრო დასასვენებელი სახლების მოწყობა გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარე წლიდან მრეწველობა და ტრანსპორტი გადადიან მუშა - მოსამსახურეებისათვის შვებულების მიცემაზე მთელი წლის განმავლობაში. ამრიგად, საჭიროა ოჯახის გარეშე დასვენების საშუალება მიეცეს იმ მშრომელებს, რომლებიც შვებულებას მიიღებენ ზამთარში.

ჩვენში ძველი ტრადიციით მუშა - მოსამ

ნება „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტის გაძევების შესახებ. ამ ღონისძიებას პოლიციეპრეზიდენტი ასაბუთებს იმით, რომ „პრავდა“-ს კორესპონდენტი „სკანდალურ ინფორმაციას“ გზავნიდა ბერლინში მომხდარ ამბების შესახებ. „პრავდა“-ს კორესპონდენტს, კერძოდ, აბრალებდნენ იმას, რომ იგი აკრიტიკებდა პოლიციის მოქმედებას და ეროდა გერმანიის შინაურ საქმეებში.

მემარცხენე მუშური გაზეთი „ბერლინ ამ მორგენ“-ი ამ ბრძანების გამო სწერს:

„პრავდა“-ს გულდასმით გადათვალიერება გვიჩვენებს, რომ „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტის ინფორმაციას სრულებით არა ჰქონდა აღნიშნული ხასიათი. მეტ წილად ეს ინფორმაცია შეიცავს მხოლოდ გერმანული გაზეთების ცნობებს. ჟურნალისტის დასჯა ისეთი ინფორმაციისათვის, რომელიც არ მოსწონს პოლიციას ან მთავრობას, წარმოადგენს „ბალკანეთის ყველაზე უფრო ცუდი ჩვეულების მიბაძვას“.

„ლოკალ ანცეიგერ“-ის ცნობით, ბრძანება „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტის გაძევების შესახებ, პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, უკვე გადაეცა კორესპონდენტს. კორესპონდენტმა საჩივრით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს. გაზეთის სიტყვით გადადგმულია ნაბიჯები ბრძანების გასაუქმებლად.

მაციო სააგენტო იუწყება, რომ, მის მიერ მიღებული ცნობებით, პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხელმეორედ განიხილა „პრავდა“-ს კორესპონდენტის გროსმანის გაძევების საქმე და გააუქმა თავისი პირველი გადაწყვეტილება გაძევების შესახებ. (ადს)



Berlin im Mai 1929
Rotes Tempo
für die werktätige Bevölkerung des Bezirks Mitte
3000 Zigaretten-Arbeiter und Arbeiterinnen von Berlin Mitte ausgesperrt
Rotes Pfingsttreffen verboten. Rüstet zum 5. Reichstreffen in Leipzig
Warum?
Proteststreik
Doch die Schupo

არალეგალური კომუნისტური გაზეთი „როტე ტემპო“, რომელიც ჰექტოგრაფზე იბეჭდებოდა ბერლინში.

პოლონეთის ფინანსიური მდგომარეობა

ვარშავა, 20 მაისი. პოლონეთის საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტმა აპრილში 100 მილიონ ზლოტს გადააჭარბა, რამაც ნერვიულობა გამოიწვია სავაჭრო-სამრეწველო და მთავრობის წრეებში. ამასთან დაკავშირებით, იწვევენ მთავრობის სპეციალურ თათბირს (ადს).

განხეთქილება პილსუდსკის მომხრეთა შორის

ვარშავა, 20 მაისი. პოზნანის სამაზრო თვითმართველობის პირველ სხდომაზე განხეთქილება მოხდა პილსუდსკის მომხრეთა ფრაქციაში. ერთმა ჯგუფმა, 11 კაცისაგან შემდგარმა, რომელიც წარმოადგენს ეგრედწოდებულ პოლკოვნიკურ ჯგუფს, საკუთარი ფრაქცია შეადგინა და „მთავრობასთან თანამშრომლობის უპარტიო ბლოკის“ ლოზუნგით გამოვიდა. პილსუდსკის მომხრეთა მეორე უფრო მნიშვნელოვანმა ჯგუფმა აგრეთვე შეადგინა თავისი საკუთარი პოლიტიკური კლუბი „მთავრობასთან სამეურნეო შეთანხმების ფრაქციის“ სახელწოდებით. ცნობამ პილსუდსკის მომხრეთა ბანაკში მომხდარი განხეთქილების შესახებ ვარშავის პოლიტიკურ წრეებში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

დაპატიმრებანი საფრანგეთში

პარიზი, 20 მაისი. სამხედრო - საავიაციო დღესასწაულების პირველი დღე ვენსენში აღინიშნა 49 კომუნისტის და მუშის დაპატიმრებით, რომლებიც ავრცელებდნენ ომის საწინააღმდეგო ლიტერატურას.

დაპატიმრებულთა შორის არიან: კომუნის
და მიდოლი, „ლიუმა

წინააღმდეგო გამოსვლა, მაგრამ მახლობელ გარე უბნებში კომუნისტურმა ორატორებმა წარმოსთქვეს სიტყვები ომის მომზადების წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად.

„ლიუმანიტე“ ხაზს უსვამს, რომ ხელისუფლებას შეეშინდა მუშების დემონსტრაციისა

გასწორება. ასეთი წესი თითქმის
ბულია და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ წყალსადენს პრეტენზია განეცხადებინოს ჩვენს მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე.

გარდა თბილისის წყალსადენისა, ჩვენ ასეთივე ნაწილებს ვაწვდით ბაქოს წყალსადენს

და ატმოსფერულ მოვლენათა გავლენისაგან.

საქმის ნამდვილ ვითარების გამოსარკვევად ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომისიის გამოყოფა, რომელიც შეისწავლის ამ შემთხვევას და იტყვის თავის ავტორიტეტულ სიტყვას.

ქაღალდის მაკულატურის შეგროვება

ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეამოწმა, თუ რამდენად ასრულებენ სახელმწიფო დაწესებულებანი საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის დადგენილებას არქივებიდან ქაღალდის მაკულატურის დაგროვების შესახებ.

გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ მიმდინარე წლის მეორე კვარტალისათვის შემუშავებული გეგმა მაკულატურის შეგროვების შესახებ ა.-კავკასიის რესპუბლიკებში მხოლოდ 65,4 პროცენტით არის შესრულებული. ამის მიზეზია მაკულატურის შემგროვებელი ორგანიზაციების მუშაობის სისუსტე, უკვე შეგროვებული მაკულატურის მიღების დაგვიანება, ცენტროარქივის მხრით ნაკლები ხელმძღვანელობის გაწევა და ეკონომიური კომისიების სუსტი მონაწილეობა ამ საქმეში. (ადს).

რკინა-ბეტონის შპალები ხის შპალების ნაცვლად

(ლ. ჩიჯავაძის მოხსენება საქ. ტეხნიკურ საზ.-ში)

ამ დღეებში ლ. ჩიჯავაძემ საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება: „რკინა-ბეტონის შპალები და მათი დამუშავების ახალი გზები“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რკინის გზის მეურნეობა ყოველ წლიურად მოითხოვს 50 მილიონ ცალ ხის შპალს, რაც იწვევს ტყეების განადგურებას და ნთქავს ძვირფას საექსპორტო საქონელს. გარდა ამისა, ხის შპალი ვერ აკმაყოფილებს მისდამი წამოყენებულ ყველა მოთხოვნილებებს. ამის გამო დიდი ხანია რაც დაიბადა ხის შპალების სხვა უფრო დამაკმაყოფილებელი მასალით შენაცვლების საკითხი. ჯერ სცადეს მათი შენაცვლება რკინა-ბეტონის შპალებით, მაგრამ გამოცდამ არ გაამართლა მათზე დამყარებული იმედები. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ რკინა-ბეტონის შპალები, ერთის მხრივ, არა დრეკადია და მეორეს მხრივ, მათი წინააღმდეგობა ღუნვაზე შედარებით მცირეა.

გერმანიაში შპალებისათვის დრეკადობის მისანიჭებლად და, რაც უმთავრესია, უფრო რაციონალურ დამაგრებისათვის დაიწყეს ცემენტში აზბესტის დიდი რაოდენობის მიმატება.

ამერიკაში სცადეს რკინა-ბეტონის შპალების გოგირდით გაჟღენთა და წინააღმდეგობის გადიდების მხრივ განსაცვიფრებელი შედეგი მიიღეს. მაგრამ ვინაიდან თვითეული ზემოხსენებული წინადადება აბათილებდა რკინა-ბეტონის შპალების დეფექტების მხოლოდ ნაწილს, ამიტომ, თავის-თავად ცხადია, სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები მიღებული არ იყო.

მომხსენებელი იძლევა ახალ წინადადებას—ორ ზემოხსენებულ საშუალებათა შეერთებას შესახებ; მისი წინადადებით ბეტონს უნდა მიემატოს აზბესტი და შემდეგ გაიჟღენთოს გოგირდით.

წინასწარი თეორიული მოსაზრებებით უნდა მივიღოთ მჭიდრო, დრეკადი, იაფი და გამძლე შპალები, ისე რომ ეკონომიური მხრითაც ისინი მეტად ხელსაყრელი უნდა იქნეს; საჭიროა მხოლოდ დაჩქარებით გამოკვლევის ჩატარება დამუშავების მეთოდების გამოსამუშავებლად და საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად.

ამ დღეებში ეს წინადადება მოსმენილი იყო ამ.-კავკასიის რკინის გზებზე, სადაც საჭიროდ იქნა ცნობილი ექსპერტთა კომისიის შედგენა კომპეტენტურ სპეციალისტებიდან.

ტეხნიკურ საზოგადოებაში მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის შედეგად მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებამ მოისმინა რა ლ. ჩიჯავაძის მოხსენება „რკინა-ბეტონის შპალების და მისი დამუშავების ახალი გზები“ და მიიღო რა მხედველობაში, ერთის მხრივ, ტყის დაცვის საჭიროება და ხის შპალების ტეხნიკური და ეკონომიური უარყოფითი მხარეები, ხოლო მეორეს მხრივ, გოგირდით გაჟღენთილ აზბო-ბეტონის შპალების მრავალმხრივი უპირატესობანი,—აუცილებელ საჭიროდ სცნო ამ დარგში ცდების წარმოება და დაადგინა იშუამდგომლოს ს. მ. უ. ს.-ის და ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს წინაშე ამ საქმისათვის საჭირო თანხების გაღების შესახებ ცდების დაჩქარებით ჩასატარებლად“.

სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე

განჯის რკინისგზელები სტალინის სახელობის ქარხნის შესახებ

ამ რამდენიმე დღის წინად ამხ. პოზდეევი იმყოფებოდა განჯაში, სადაც ის დაესწრო ადგილობრივ რკინისგზელთა კრებას. თავის სიტყვებში განჯელი მუშები აღნიშნავდნენ, რომ მათ ეხლა ეხლა გაიგეს გაზეთებიდან, რომ სტალინის სახელობის ქარხნის მუშებმა მიიღეს როსტოვის და ხარკოვის, რკ.-გზ. მთავარ სახელოსნოების გამოწვევა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ გარემოებამ ისინი შეაფიქრიანა, რადგან სტალინის სახელობის ქარხანაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის.

მაგალითისათვის მათ მოჰყავდათ ორი ორთქლმავალი № 870 და 872, რომლებიც ქარხანამ შეკეთების შემდეგ გაუგზავნა განჯას.

ეს ორთქლმავლები უვარგისი აღმოჩნდნენ და საჭიროებენ დამატებით შეკეთებას და ზედმეტი თანხების დახარჯვას.

იმისათვის, რომ თქვენ გვერდში ამოუდგეთ იმ სახელოსნოებს, ამბობდნენ განჯელები, რომელთაც თქვენ გამოგიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში, თქვენ უნდა გამოუშვათ ისეთი ორთქლმავლები, რომლებსაც აღარ დასჭირდებათ დამატებითი შეკეთება, ან გამოუშვათ ისეთი პროდუქცია, რომელიც ნამდვილ განძად შეემატება ჩვენს საერთო სოციალისტურ მეურნეობას.

ჩვენ ჯერ კიდევ ცუდათ და ძვირათ ვმუშაობთ

(ა. კ. რკ.-გზის გამგეობის თავმჯდომარის წერილი)

განჯის მუშა-რკინისგზელების სიტყვები ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში მუშებს, კომუნისტურმა ფენამ, პროფმუშაკებმა და ადმინისტრატორებმა აქამდე ვერ მოახერხეს წარმოებისა და ქარხნის მიერ გამოშვებულ პროდუქციისათვის ნამდვილი, მასიური კონტროლის გაწევის საქმის მოგვარება.

ეს კონტროლი რომ წესიერი იყოს, რომ საწარმოო თათბირების მუშაობაში მონაწილეობას იღებდეს, წარმოებაში ჩაბმული მუშების უმეტესი ნაწილი, ჩვენ არ გვექნებოდა არა მარტო ისეთი აღმაშფოთებელი უმსგავსოებანი, რომლებიც ხშირად აფერხებენ გზის მუშაობას, არამედ დიდი ხანია მივაღწევდით ქარხნის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასაც.

ქარხანა ჯერ კიდევ განაგრძობს ძვირ და მდარე ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. იგი გაცილებით ძვირად მუშაობს, ვინემ ტრანსპორტის სხვა დიდი ქარხნები და სახელოსნოები. გზათა კომისარიატის მიერ მოცემული ნორმის მიხედვით, შეკეთებული ორთქლმავალი ქარხანაში საშუალოდ უნდა იდგეს არა უმეტეს 25 სამუშაო დღისა და მისი შეკეთება საშუალოდ არ უნდა აღემატებოდეს — 5.135 მანეთს.

ამის ნაცვლად, ის ორთქლმავლები, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდნენ განჯის მუშები, შესაკეთებლად ქარხანაში იდგნენ: № 872—75 სამუშაო დღე, ხოლო № 870—171 სამუშაო დღე. პირველის შეკეთება დაჯდა 14.048 მან. 19 კაპ. და მეორესი—18.240 მან. 57 კაპ. მიუხედავად ასეთი ხარჯების გაწევისა, ეს ორთქლმავლები დამატებითი შეკეთების გარეშე გამოუსადეგარნი არიან და მათ ასამუშავებლად საჭიროა ზედმეტი ხარჯების გაწევა. ამის ატანა კი ტრანსპორტს არ შეუძლია.

სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ ვაღიაროთ, რომ ასეთი არა კეთილსინდისიერი შეკეთების მაგალითები ჩვენს ქარხანაში არა ერთი და ორია. ქარხანამ საშუალო შეკეთებიდან გამოუშვა „ბ“ სერიის სახალხო ორთქლმავალი № 100. ორი მგზავრობის შემდეგ საჭირო გახდა მისი ხელმეორედ ქარხანაში გაგზავნა შესაკეთებლად და ეს გზას 360 მანეთი დაუჯდა. ბორბლების საჩარხავ დაზგას ქარხანაში ოთხი თვის განმავლობაში აკეთებდნენ. შეკეთება 8.160 მანეთი დაჯდა, და როდესაც იგი გადაგზავნეს და დასდგეს ხაშურის დეპოში, გამოირკვა, რომ ის უვარგისია და მასზე მუშაობა არ შეიძლება.

შედეგი ამისა ისაა, რომ ეხლა ბორბლები საჩარხავად ხაშურიდან ჩამოაქვთ თბილისში და შემდეგ აგზავნიან უკან.

ტრანსპორტი საჭიროებს ზუსტსა და შეუწყვეტელ მუშაობას. ამისათვის „როგორმე“ და „სხვათა შორის“ მუშაობას ვერ მოვითმენთ. იმისათვის კი, რომ მოვაწესრიგოთ მუშაობა როგორც ეს საჭიროა, პირველ ყოვლისა გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ წარმოებისადმი უყურადღებობას.

გზის გამგეობა მარტო ადმინისტრატიული ზედმოქმედების ღონისძიებებით ვერ შესძლებს ყოველივე ამის გაკეთებას, თუ მას არ დაეხმარებიან ის მოწინავე, შეგნებული მუშები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან წარმოების აყვავებით და რომლებიც ბლომად მოიპოვებიან სტალინის სახელობის ქარხანაში.

საერთო ძალღონით, ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობით ჩვენ უნდა გადავლახოთ ყველა სიძნელეები, რომ სოციალისტური შეჯიბრებიდან გამარჯვებულნი გამოვიდეთ.

პ. პოზდეევი.

ბაზე; ხელშეკრულებით დადებს [illegible] სპეციალურად გამოყოფილ დღეებში.

ვინაიდან [illegible] ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პროფორგანიზაციებმა, სოციალისტური შეჯიბრების კომიტეტები, რომლებიც ადგილებზე არსებობს, გაუქმებული უნდა იქნეს.

ვინ უნდა უხელმძღვანელოს სოც. შეჯიბრებას

წარმოებებში სოციალისტური შეჯიბრე
ბის ხელმძღვანელობის და ხუთედლე

რმა შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს საწარმოო თათბირების და მისი კომისიების მუშაობის გაცხოველებას.

ამხ. კ
დებს:
უნდა იქნეს აგრე
პრეზი ვშირის საინიციატივო
ყრილობა ამტკი
ცის შემადგენლობით კომისიების გამო
შორის არიან შმიდ სიურ ეკონომმუშაო
ოლლო, რიტაკოვი, ლმყოფელობა და მი
პოვი, არტიუხინა, ომ სოციალისტური
გდანოვი, ბუბნოვი, ბაში დროებითმა სა
როშილოვი, გამარნ მაქსიმალურად უნდა
დოვი, ენუქიძე, ზაუშაობა.
მოვი, კაგანოვიჩი, კევა, ხელშეკრულების
როვი, კომაროვი, ქს გეგმის გამომუშავე
კაია, კუიბიშევი, ქათბირზე, საწარმოო
ლოტოვი, მუსაბეკ ბების საერთო კრე

რას ამბობენ ფაქტები

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მოაგროვა ფაქტიური მასალები წარმოებებში შრომის დისციპლინის დარღვევის შესახებ. როგორც ამ მასალებიდან ჩანს შრომის დისციპლინის საქმე ადგილებზე ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული, სტალინის სახ. ქარხანაში ახლად შეკეთებულ და შეღებილ № 2160 ვაგონს უხმარებლად ოთხ ადგილას გაუწყდა წევის მთავარი ადგილი: ამის მიზეზია შემკეთებლების უყურადღებობა. გამორკვეულა, რომ ვაგონს ეს დაზიანება მგზავრობის დროს რომ მოსვლოდა, იგი მთლად დაილეწებოდა და მგზავრებიც დაილუპებოდნენ. ეს დაუდევრობა ზოგჯერ ზღაპრულ საზღვრებს აღწევს.

ჭიათურაში ცარიელ ქვაბს, რომელშიაც წყალი უნდა ყოფილიყო ჩასხმული, ცეცხლი დაუნთეს ქვეშ, რის გამოც ქვაბი გაფუჭდა. ადმინისტრაციამ დამნაშავე მოხსნა სამსახურიდან, მაგრამ პროფკავშირის ჩარევის შემდეგ ისევ აღდგენილი იქნა, უნდა აღინიშნოს, რომ არც სამეურნეო ორგანოები იჩენენ ზოგან საკმაო სიმტკიცეს შრომის დისციპლინის დაცვის საქმეში. მაგ., იმავე მარგანეცის მრეწველობაში ადმინისტრაციის მიერ ქურდობისათვის სამუშაოდან მოხსნილი იქნა 3 კაცი, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა და ისევ უკან მიიღო. ქურდობის მავნებლობაზე ლაპარაკი ზედმეტია, მისგან ზარალობს არა მარტო წარმოებები, არამედ მუშებიც, რადგანაც ქურდი არც თავისივე ამხანაგის გაქურდვას მოერიდება; მეორე თამბაქოს ფაბრიკაში უკანასკნელ ხანებში ქურდობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. ქალების გასახდელ ოთახში იკარგება პალტოები, თავსაფრები და სხვ. ერთ-ერთ მუშა-ქალს, გაჩხრეკის დროს ამხანაგისაგან მოპარული ფული ფეხზე ჩაცმულ ჩუსტში უპოვეს.

წარმოებებში ხშირად ადგილი აქვს მანქანების „თავის ჭკუაზე“ მომართვას, რაც ზოგჯერ მასზე მომუშავე პიროს საზიანოდ ბოლოვდება. ზემოდ აღნიშნულ თამბაქოს ქარხანაშივე ბორბლის ღვედზე „კანიფოლი“ დააყარა იმ მიზნით, რომ აეჩქარებია ბორბლის ბრუნვა და ნორმაზე მეტი დაემუშავებინა, რათა მეტი ხელფასი აეღო. მაგრამ ასეთი ჩქარი „მუშაობის“ დროს მუშის ხელი მოყვა მანქანაში და დაუზიანდა არა მარტო ხელი, არამედ სახეც.

რასაკვირველია წარმოების და მუშების საზარალო თვითნებობის ყოველგვარ გამოხატულებას ადმინისტრაციამ სასტიკი წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს და ამაში მხარი უნდა დაუჭირონ ყველა ორგანიზაციებმა, მაგრამ ხშირად ადმინისტრაცია მოკლებულია მომხრეებს და მოვალეობით დაკისრებული მისი ღონისძიებანი ხშირად წინააღმდეგობას იწვევენ როგორც მუშებში, ისე სხვ. ორგანიზაციებშიც.

ავიღოთ შემდეგი მაგალითი: ცეცხლის გამძლე აგურის ქარხანა „შრომა“-ში მუშა **ნიჟარაძე** სამუშაოზე გამოცხადდა დაგვიანებით და ისიც მთვრალი. სამუშაოების უფროსმა იგი იმ დღეს სამუშაოზე არ დაუშვა; „შეურაცხყოფილმა“ ნიჟარაძემ ამ წადაგზე ლანძღვა - გინება დაუწყო უფროსს და მის საცემლადაც კი წაიწია. ადმინისტრაციამ ამის გამო ნიჟარაძე მოხსნა სამუშაოდან. ნიჟარაძემ ეს საქმე გაასაჩივრა სასამართლოში და რაღაც გაუგებარი მიზეზებით იგი აღდგენილ იქნა სასამართლოს დადგენილებით. შეიძლებოდა კიდევ აურაცხელი ფაქტების მოყვანა, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანდა.

ზემოხსენებული ფაქტები ნათლად ამტკიცებენ იმას, რომ დანაშაული და შეცდომები მოიპოვება როგორც სამეურნეო ორგანოების, ისე პროფკავშირებშიც. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

იაშა.

ქრონიკა

არაჩვეუ
ანგორა, 20 მ
დეპეშათა სააგენტ
ლის 8 საათზე, სი

ახალგაზრ
მოსკოვი, 21
სახკომსაბჭომ შეი
ლისტების სამუშა
წესის მიხედვით,
წველობაში ეკისრ
საორიცხვო-განმა
ზებს, ხოლო რესპ

გადა
მოსკოვი, 2
ათის სამუშაო
თონის მრეწველ
შაობს 60.000 მუ
ვამდე გადაყვანი
100.000 მუშა. გ
მოგვცა: წარმოე
ლი მუშა, გადი

შინაგანი
მოსკოვი
ცეკამ მოისმინ
ბა შინაგანი რ
სახებ ტრანსპ
აღმდეგ საქონ
ნეთით მოიმა
ციტიანი მასა
შპალების მ
რობამ წინად
კომისარიატს
წელს 11 მ
რეთ - დას
ბებში ლურ

ივის კრება
, საღამოს 6 საათზე
ბაზში შესდგება თბი
საქალაქო კრება, რო
მოხსენებას გააკეთებს
ბრების შესახებ.
ი არიან კავშირების
პროფსაბჭოს პლენუმის
საკონტროლო კომი
კომები და წარმოებებ
მირელთა საინიციატივო

ეობა „უდაბნო“
ს „უდაბნო“-ს გასაფარ
ია 248.000 მანეთი.

ვი და გერასიმოვი
ან თბილისს ჩამოვლენ—
მწერალთა კავშირის თავ
მჯდომარეთაგანი—ამხ.
ამხ. ვერასიმონი.
ილოვი და გერასიმოვი
ას. მათ განზრახული აქვთ
მიებთა, რკინისგზელთა,
ების მუშაკთა, სავაჭრო და
ულებების მოსამსახურეთა
სახურეთა კლუბებში. სა
ში შევა: მოხსენება თა
ატურის შესახებ, საკუთა
კითხვა, პასუხი შეკითხვებ
ა-გამოცვლა, აუდიტორიას-

შაშო მცირე ჩემპიონატი
ილისის საშაშო მცირე ჩემ
შიც გამარჯვებული გამო
+9 10დან), მეორე ადგილი
მა (+8½).
ს განზრახულია დაიწყოს
ში დიდი ჩემპიონატი, რო

მელშიაც მონაწილეობას მიღებენ თბილისის უძლიერესი მოთამაშეები.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ **ჩაის პლანტაციებზე** მომუშავე ქალთა ბავშვებისათვის შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს საბავშო ბაღები და ბაგები.

◆ **სატყეო ტრესტს** წინადადება მიეცა ახალციხის სატყეოებში დაქირავებულ მუშებისათვის მოაწყოს საცხოვრებელი ბინები და მტკიცეთ დაიცვას შრომის პირობები.

სხვადასხვა

◆ **სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაძენად** ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა საქ. სას.-სამ. ბანკს გადასცა 45.000 მან.

◆ **ახალი ავტომობილები.** „ზაკავტოპრომტორგმა“ საფრანგეთიდან მიიღო 7 ახალი სატვირთო ავტომობილი.

◆ **ხოცმიგიენის აუდიტორიაში,** ოთხშაბათს, 22 მაისს, საღამოს 8 ს. შესდგება **სახ.** უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა საზოგადო კრება.

◆ **სახ. უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე** რვა სემესტრ მოსმენილთათვის სახელმწიფო გამოცდების სესია დანიშნულია 25 მაისიდან.

საჯარო ლექცია ვეფხის ტყაოსანზე. დღეს, 21 მაისს, საღამოს 8 ნახევ. საათზე, სახ. კონსერვატორიის დარბაზში შესდგება შ. ადეიშვილის მოხსენება: „ვეფხის ტყაოსანი მხატვრული კრიტიკის წინაშე“.

დღეს, საღამოს 7 საათზე, წითელ არმიელთა საზაფხულო კლუბში — (პლეხანოვის პროსპექტზე) საბჭოთა წიგნის ათი წლის იუბილეს აღსანიშნავად გაიმართება რუსეთის და საქართველოს სახელგამების მოხსენება. იქვე მოწყობილია წიგნების გამოფენა.

◆ **ძველი თბილისის სურათების ალბომი.** ახლო ხანში გამოვა ძველი თბილისის სურათების ალბომი. სურათები შესრულებულია მხატვარ ბ. ბებუთაშვილ-გაბუნიას მიერ.

„ქართული მწერლობა“

